სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 მარტი 2008 №063 (3287) ფასი 50 თეთრი



კლაივ აკილენსამ თვალსაწიერი გაიფართოვა

დინამოში ერთა თასის მონაწილე ზამბიელი მივიდა

ჩემპიონობის გზაზე მდგარმა თბილისის „დინამომ“ ამ დღეებში, შესაძლოა, კიდევ ერთი ლეგიონერი დაიმატოს — 28 წლის ზამბიელი კლაივ აკილენსა უკვე აქ არის და გუშინ თბილისელებთან ერთად ივარჯიშა კიდეც. საიდან და როგორ დაუკავშირდა ეს ფეხბურთელი „დინამოს“, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ დღესდღეობით აკილენსა დუშან უჰრინისთვის თავის მოწონებას ცდილობს და თუ „დინამოს“ მწვრთნელის თანხმობა იქნება, ზამბიელი გუნდში დარჩება.

კლაივ აკილენსა მცველია. მას ზამბიის ეროვნული გუნდისთვისაც უკაპიტნია და ამას წინათ აფრიკის ეროვნებათა თასზეც ითამაშა. ქვეყნის ნაკრებში აკილენსას 50-ზე მეტი შეხვედრა ჩაუტარებია და ზამბიაში საკმაოდ პოპულარული ფეხბურთელია. მისი საკლუბო კარიერა კი არც ისე მდიდარია: ზამბიის გარდა, უთამაშია სამხრეთ აფრიკაში და ფინურ „მარიეჰამნში“, სადაც სადებიუტო მატჩშივე „კოოტეეპეეს“ კარში გოლიც გაიტანა...

მოკლედ, ზამბიელი კლაივ აკილენსა თბილისშია, „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს და თავის გამოჩენას ცდილობს, არადა, „დინამოს“ დაცვის ხაზში პრობლემები რომ აქვს, ბოლო მატჩებშიც აშკარად გამოჩნდა. თუმცა ბოლო სიტყვა, როგორც უკვე ვთქვით, უჰრინზეა...

კობა ინასარიძე

ის, რაც ამ სეზონში ჯერ არ ყოფილა

დღეს ვიტ ჯორჯია პირველობას ეცდება

ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი „ვიტ ჯორჯია“ — „სიონია“

სისტემა ცხოვრებისა და ფეხბურთისა

დაზოგილი კალამ-ქაღალდის ამბავი

მეორე წერილი ციხლიდან გარიგებული მატჩები საქართველოში. 2001 წლის 3 აპრილს რუსთავში „გორდა“ „სიონს“ შეხვდა. გაჩნდა ეჭვი, რომ შესვენებისას გასახდელში რაღაც მოხდა. დღეს „სარბიელში“ იმდროინდელ ამბებს ვიხსენებთ



ელენემ მსოფლიო გააოცა

მაო ასადა

ძალიან გვინდოდა, ეს პატარა წერილი ელენე გედევანიშვილის ქებით დაგვეწყო, მაგრამ არაფრით გამოდის. გიოტებორგში, ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინწინ ცუდად დაწყებული საქმე 18 წლის ელენე გედევანიშვილმა გუშინ ოდნავ კი გამოასწორა, მაგრამ ეს ოდენ ოცეულში შესასვლელად ეყო.

რაც ელენე დიდებში სრიალებს, ასეთი წარუმატებელი ტურნირი ჯერ არ ჰქონია. მოკლე პროგრამის შემდეგ გედევანიშვილი ბეწვზე გადაურჩა ჯგუფში ჩარჩენას და ოდენ 23-ე იყო. გუშინ კი, როგორც ვთქვით, მსოფლიოს ჩემპიონატი 125,99 ქულით მე-20 ადგილზე დასრულა.

ჩემპიონი იაპონელი მაო ასადა (185,56 ქულა) გახდა, ვინც დასაწყისში კი დაეცა, მაგრამ მერე უზადო ბრუნვებით თავბრუ დაახვია მაყურებელს და მსაჯებს. ევროპის ჩემპიონი, იტალიელი კაროლინა კოსტნერი (184,68) ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო სამხრეთკორეელმა იუ-ნა კიმმა (183,23) ირგუნა.

ელენე გედევანიშვილი

ბაჩო სვანიძე

„სარბიელის“ მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ რუსთავის „ოლიმპი“ დატოვა უკრაინელმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა. „ოლიმპის“ ან უკვე ყოფილი თავკაცი ჯერ ისევ საქართველოშია და სამშობლოში შაბათს დაბრუნდება. პისკოვეცმა გადადგომის მიზეზად დედის და მეუღლის ავადმყოფობა დაასახელა. გუშინ კი მას რუსთავში ვესტუმრეთ და უკრაინაში წასვლამდე ინტერვიუც ჩამოვართვით...

ბუსკა დოლიძეს/ბეს ფოტო

მივდივარ და დარდი მიმაქვს

რაზე წყდება გული ანატოლი პისკოვეცს

— რამდენიმე დღის წინ „ოლიმპის“ ხელმძღვანელებს გადადგომის მოთხოვნით მიმართეთ და მათაც დაკმაყოფილეს თქვენი სურვილი. მიზეზი მხოლოდ ოჯახის წევრების ავადმყოფობაა თუ სხვაც? ამბობენ, რომ მხოლოდ ამის გამო არ წასულხართ...

— დედა და მეუღლე ავადმყოფობენ და გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე. სხვას ველარაფერს გეტყვით...

— არ გწყდებათ გული, საქართველოდან რომ მიდიხართ?

— აქაურობას შევეჩვიე. ქართველებმა თავისი სტუმართმოყვარეობით თავი უსაზღვროდ შემაყვარეს. საქართველოს დატოვება ძალიან მიჭირს, თუმცა ღმერთმა ასე ინება და ველარაფერს შევცვლი.

— როგორ შეაფასებთ თქვენს ნამუშევარს „ოლიმპში“?

— ვთვლი, რომ რუსთაველი ფეხბურთისთვის ცოტა არ გამიკეთებია და ეს ქართული ფეხბურთისთვის საქმის გაკეთებაცაა. ამ კოხტა ქალაქში ფეხბურთი დავაბრუნეთ — ჩემი მუშაობის პერიოდში შეიქმნა ფანკლუბი, გაკოხტავდა სტადიონი, გაკეთდა კარგი სასტუმრო, გამოჩნდა რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი და მათი გვარების ჩამოთვლას აღარ დავიწყებ... ამ ბიჭებით რამდენიმე წელიწადში საქართველო იამაყებს. „თანამეგობრობის თასზეც“, მგონი, თავი არ შეგვირცხვენია — ღირსეულად გამოვედით. იქ ჩვენი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მხოლოდ 18 ფეხბურთელი გვყავდა, თორემ უფრო შორსაც წავიდოდით.

— საქართველოს ჩემპიონატში რომელ თამაშს მიიჩნევთ საუკეთესოდ? ცხადია, იმ მატჩებს შორის, როცა „ოლიმპს“ თავკაცობდით...

— „დინამოსთან“ თბილისში მოგებულ შეხვედრას. „თანამეგობრობის თასზე“ რომ მივდიოდით, ალუშტაში შეკრებაზე გეგმები შევცვალე და ისე წარვმართე წვრთნა, რომ ფორმის პიკი თავიდანვე, „დინამოსთან“ ყოფილიყო. ვფიქრობ, იმ მატჩში „ოლიმპმა“ ძალიან სანახაობრივი და კარგი ფეხბურთი აჩვენა. იქიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ მერე გუნდს ჩავარდნა ექნებოდა, მაგრამ მარტის ბოლოდან „ოლიმპი“ ისევ ათამაშდება.

— თავიდან, საქართველოში რომ ჩამოხვედით, მსაჯობით უკმაყოფილო იყავით. ზესტაფონში მსაჯს სათვალის ყიდვაც ურჩიეთ...

— მსაჯობა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მუხრუჭია. რამდენიმე თამაში ისე უმსაჯეს ჩემს გუნდს, კინალამ გავგიჟდი. ზესტაფონში ეს ვთქვი და იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის მხარი დაეჭირათ, აქეთ შემომიტიეს და მითხრეს, დაგსჯითო. თქვენ რა გგონიათ, უკრაინაში არ ცდებიან მსაჯები? მაგრამ იქ მსაჯები ამისთვის მკაცრად ისჯებიან, საქართველოში კი მკაცრად დასჯილი მსაჯი მე არ მინახავს და ამიტომ გრძელდება უმსგავსობა. ამას თუ არ მიეხედა, ქართული ფეხბურთი წინ ვერ წავა.

— კიდევ რა უნდა გამოსწორდეს?

— მინდვრები უნდა დაიგოს და ბავშვთა ფეხბურთში პროფესიონალებმა იმუშაონ. ამ სფეროს დიდი ყურადღება სჭირდება.

— ქართველ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა იზრდება და მათ თუ გზას მისცემენ, თავის სიტყვას ევროპაშიც იტყვიან.

— საქართველოში მუშაობისას ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?

— ის, რაზეც გული მწყდება და მიკვირს, ისაა, რომ მე პროლიცენზიის მქონე მწვრთნელი ვარ და დიდი გამოცდილება მიმაგრებს ზურგს, მაგრამ არც ფეხბურთის ფედერაციაში და არც პროფლიგაში არც გახსენებიათ, ჩემთვის ეთხოვათ, რომ ქართველი მწვრთნელებისთვის ცოდნა გამეზიარებინა. აქ კომპიუტერშიც მაქვს ფეხბურთის ლიცენზირებული პროგრამა, რომელიც 5 ათასი დოლარი ღირს და კიდევ უამრავი მასალა, რითიც მწვრთნელები ბევრს შეიტყობდნენ. აზრებსაც გავცვლიდით... ამას გულით ვამბობ, რადგან ქართული ფეხბურთისთვის სიკეთე მინდა. მომავალში სხვა უცხოელი მწვრთნელი რომ ჩამოვა, კარგი იქნება, ამას მაშინ მაინც თუ გაითვალისწინებენ.

— შაბათს საქართველოს დატოვებთ. რუსთაველი გუნდი გაცილებას ხომ არ გიწყობთ?

— გუშინ ფეხბურთელების ინიციატივით რესტორანში დამშვიდობების სუფრა გაიშალა და ამისთვის მათ დიდი მადლობა. 27 მაისს 60 წლის იუბილე მაქვს და რამდენიმე ფეხბურთელი დამპირდა, რომ კიევში ჩამოვა. ეს ჩემთვის დიდი საჩუქარი იქნება...

ნუგრი ლოლაძე

15-წლამდელები პორტუ-გალიაში მოიმწყვდიეს

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის ქალაქ ლეირიაში ოთხთა ტურნირზე ორი მატჩი ჩაატარა და ორივე წააგო. ჩვენებმა გუშინწინ თურქ თანატოლებთან 2:5 წააგეს, გუშინ კი პორტუგალიასთან — 0:1.

აღსანიშნავია, რომ თურქებთან ქართველები 51-ე წუთისთვის 2:1 იგებდნენ: ჯერ დავით ხოჭოლავას პასით გია ხარლამოვმა გახსნა ანგარიში, რის შემდეგაც თურქებმა გაათანაბრეს, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ხოჭოლავამ თავისიანები დააწინაურა — ზურაბ ლეჟავას პასით. დარჩენილ 39 წუთში კი თურქებმა ზედიზედ ოთხჯერ გაიტანეს, უკვე 66-ე წუთზე 2:5 იყო.

მასპინძელ პორტუგალიასთან კი გელა შეყილაძის გუნდმა მე-19 წუთზე გაუშვა ერთადერთი ბურთი, რაც მეორე წაგებად დაუჯდა. არადა, ხოჭოლავას, ხარლამოვსა და ვალერი ყაზაიშვილს (სამი მცველი მოატყუა და მეკარესთან პირისპირ გავიდა) უეჭველი საგოლე მომენტები გაუფუჭდათ.

„დღეს ბიჭებმა უკეთ ითამაშეს, ვიდრე თურქეთთან, თუმც პორტუგალია გვჯობდა და სამართლიანადაც მოიგო. ჩემი გუნდი ჩამოყალიბების სტადიაშია და მთავარია, შეთამაშება მოახერხონ“ — თქვა პორტუგალიასთან ნამატჩევს შეყილაძემ.

ახლა კი ქართველი 15-წლამდელების შემადგენლობებსაც გთავაზობთ:

საქართველო 2:5 თურქეთი

საქართველო: ლეგაშვილი, სართანია, ხარაბაძე (მანაგაძე 65), დარბაისელი (დოლიძე 65), ჩხიკვიშვილი (თევდორაძე 65), ფოცხვერია (ლეჟავა 35), ხოჭოლავა, ჭანტურია (გელაშვილი 55), ჩინჩალაძე, ხარლამოვი, ნარიმანიძე (ყაზაიშვილი 35)

საქართველო 0:1 პორტუგალია

საქართველო: ლეგაშვილი, სართანია, ხარაბაძე, დოლიძე, ჩხიკვიშვილი (ნარიმანიძე 55), ფოცხვერია (გელაშვილი 32), ხოჭოლავა, ჭანტურია (ყაზაიშვილი 60), ჩინჩალაძე, ხარლამოვი, ლეჟავა

ბოლო მატჩს ოთხთა ტურნირზე ჩვენები ხვალ სლოვაკეთის 15-წლამდელებთან გამართავენ.

ილია ნანოგაშვილი

მგლები სეზონს ჩაამთავრებს

ლაშა დარასელია: ფინანსური პრობლემები მოგვარებულია

გავრცელებული ხმებით, ზუგდიდის „მგლებს“ ფინანსური სიტუაცია აერია, ერთ მატჩსაც ითამაშებს თბილისის „ლოკომოტივთან“ და მერე, შესაძლოა, ჩემპიონატიც კი მიატოვოსო.

„მგლები“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, სეზონის წინ ფინანსური გარანტიებიც წარადგინა და დებიუტანტის კვალობაზე არცთუ ურიგოდ ირჯებოდა — ზუგდიდში აუტსაიდერებს კი არა, ლიდერებსაც უჭირდათ თამაში.

აქედან გამომდინარე, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თუმც მოულოდნელად...

„იყო რაღაც ფინანსური პრობლემები. ამჟამად ყველაფერი მოგვარებულია და გუნდი ჩემპიონატს ჩამთავრებს, მაისამდე არანაირი პრობლემა არ იქნება“ — გკითხავ „მგლების“ პრეზიდენტმა ლაშა დარასელიამ.

ისიც ითქვა, ფინანსური პრობლემების გარდა, „მგლები“ და მეორე ზუგდიდური კლუბი „ბაია“ ერომანეულში გაერთიანებაზეც ვერ თანხმდებიანო. სტადიონი, სადაც „მგლები“ თამაშობს, „ბაიას“ კუთვნილებაა და მის რეკონსტრუქციასაც აკეთებენ...

„ჩვენსა და „ბაიას“ შორის არანაირი მოლაპარაკება და შეთანხმება არ ყოფილა. ისე, ალბათ უკეთესი იქნება, თუ ზუგდიდს ერთი და ძლიერი გუნდი ეყოლება უმაღლეს ლიგაში“ — დასძინა დარასელიამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აზერბაიჯანელი და 3 ქართველი

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 25 მარტს ლატვიელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მატჩი „ამერის“ სტადიონზე გაიმართება და 16 საათზე დაიწყება.

ცნობილი გახდა მსაჯების ვინაობაც — მთავარი მსაჯი აზერბაიჯანელი ვიუსალ ალიევი იქნება. მას ქართველები დაეხმარებიან — თანამსაჯები გიორგი ჩიგოკიძე და მამუკა ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი კი ზვიად ასკაროღლი იქნება.

შეგახსენებთ: ეს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მატჩია წლიულს და პეტარ სეგრტიც ამ შეხვედრით იწყებს მზადებას ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დარჩენილი თამაშებისთვის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ახალკაცმა მსაჯთა გუნდი ნახა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი მსაჯებს და მსაჯთა დამკვირვებლებს შეხვდა.

ფედერაციის პრეზიდენტმა მათ სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის ამასწინანდელი გადაწყვეტილება გააცნო გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ახალკაცმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ბრძოლა.

მსაჯებსა და მსაჯთა დამკვირვებლებს ფიფას და უეფას ინსტრუქციების შესაბამისად, მკაცრად აეკრძალათ მატჩისშემდგომი კომენტარების გაკეთება საინფორმაციო საშუალებებისთვის თუ ნებისმიერი სხვა სახით.

გუშინდელ შეხვედრაზე სხვადასხვა საკითხებიც განიხილეს...

კახა შალამბერიძე

ინგლისი

I ლიგა. XXXIX ტური
ტრანმერი 2:0 პორტ ვეილი
კონფერენსლიგა XXXIX ტური
ბრეისი 3:1 დროილსდენი

გერმანია

ბუნდესლიგა. XXV ტური
აინტრახტი 2:1 კოტბუსი
II ბუნდესლიგა. XXV ტური
აუგსბურგი 0:1 პადერბორნი
ლაუტერნი 1:1 ოფენბახი
ზანკტ პაული 2:1 ოსნაბრიუკი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVI ტური
ვერდერი (მ) 3:0 ვოლფსბურგი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა XXIII ტური
შტუტგარტი (მ) 2:3 აალენი
ბაიერნი (მ) 1:1 ელვერსბერგი
ოგერშაიმი 1:1 მიუნხენი (მ)
ზიგენი 0:1 ინგოლშტადტი

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
არისი 1:0 ძსანთი (0:0)

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXIV ტური
ვინტერთური 0:1 კონკორდია
ბოსაუ 0:1 ბელინცონა

პოლონეთი

I ლიგა. XXII ტური
სოსნოვიცი 1:3 ლოკი
ბელხატუვი 0:3 ლეხი

დანია

სუპერლიგა. XX ტური
ორჰუსი 0:0 რანდერსი
ვიბორგი 2:3 ნორდსიელანდი
ბრონდბიუ 2:1 მიდტიულანდი
ლიუნგბიუ — ოდენსე გადაიდო
I დივიზიონი. XVI ტური
ჰვიდოვრე 0:0 აკადემისკი
სკივე 3:1 ჰერფიოლგე
კიოგე 2:2 ნიკიობინგი
ნესტვედი 2:1 კოლდინგი
სილკებორგი 0:0 ფკ ორჰუსი
ვაილე 1:0 ფრედერისია
ფრევი — სიონდერისკე გადაიდო
იოლსტიკე — ჰელერუპი გადაიდო

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ვალენსია 3:2 ბარსელონა (1:1)

ფინეთი

ლიგის თასი
II ჯგუფი. VI ტური
ლაჰტი 0:0 ინტერი
ჰაკა 2:1 მარიეჰამნი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი

II წრე. 18 ტურ

„დინამომ“ „სპარტაკი“ თასიდან დაითხოვა. რა იქნება ჩემპიონატში?

ბურაკ ფოლადაშვილის ფოტო

ბათუმი. 21 მარტი. 15 საათი. ადელი

ბათუმი — მერანი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, დ. სანოძე, დ. კვეტენაძე, ჯ. ბუიშვილი

მცხეთა. 21 მარტი. 15 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ხუციშვილი, დ. კურტანიძე, თ. გვანცელაძე

თბილისი. 21 მარტი. 15 საათი. ამერი

ამერი — ბორჯომი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ფიფია, ზ. ბერულავა, მ. ურუშაძე

ზესტაფონი. 21 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დილა

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ი. მაჩიტაძე, ზ. მენთეშაშვილი, გ. დოგრაშვილი

ზუგდიდი. 22 მარტი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

მგლები — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, კ. გაბრიაძე, კ. ტეფნაძე, ი. ურუშაძე

თბილისი. 22 მარტი. 15 საათი. ეროვნული

დინამო — სპარტაკი

მსაჯები: ლ. სილაგავა, ი. კაკაბაძე, გ. ყრუაშვილი, ვ. გუმბერიძე

ბორჯომი. 22 მარტი. 15 საათი. ჯ. ზეინალიშვილი

მესხეთი — ოლიმპი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, შ. ქუხილავა, თ. ხუჭუა, ვ. ელისაბედაშვილი

ზევით, ქვევით, იქით, აქეთ

ჩემპიონატი ყველგან დაძაბულია

საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტურში რამდენიმე საინტერესო შედეგი დაფიქსირდა და მიმდინარე ჩემპიონატს დაძაბულობა შემატა.

დღეს-ხვალ მე-18 ტურის მატჩებია და რამდენიმე მათგანში უშღავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ. მეტი სიმჭიდროვე ცხრილის ქვედა ნაწილშია და აუტსაიდერებიც კბილებით იბრძოლებენ საჭირო ქულების მოსაპოვებლად. თუმცა არ იფიქროთ, რომ ცხრილის თავს ინტრიგა აკლდეს — საჩემპიონო მარული თანდათან ეშხში შედის...

ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ვიტ ჯორჯია“ დღეს მცხეთაში ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლებს და მოგების შემთხვევაში, სულ ცოტა, ერთი დღით ცხრილის თავშიც წამოსკუპდება, რადგანაც „დინამო“ ხვალ თამაშობს.

ვეტერინარებიც, ცხადია, ეცდებიან, ცხრილს სათავეში მოექცნენ და ეს შეუძლებელი სულაც არ არის — წლეულს გუნდი მართლაც ყოჩაღად თამაშობს. თუმცა ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ მებრძოლმა ბოლნისელებმა მასპინძლებს ქულები დააკარგვინონ. მით უფრო, რომ მცხეთელებს თავდასხმაში აშკარად უჭირთ და გოლების გატანას მცველ-ნახევარმცველების წყალობით ახერხებენ.

„სიონთან“ მატჩისთვის ვეტერინარებს პრობლემები დაცვის ხაზშიც ექნებათ — დავით ლომაია და გიგა ბეჭვაია დისკვალიფიცირებულნი არიან.

დღესვე „ზესტაფონი“ გორის „დილას“ უმასპინძლებს. იმერლებმა წინა ტურში მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგეს და საჩემპიონო შანსები შეიმცირეს. ამიტომ შეეცდებიან, ბოლოადგილოსან „დილაზე“ იყარონ ჯავრი. თან იმაზეც ილოცებენ, რომ მეტოქეებმა წაიფორხილონ.

„დილა“ კი... აგერ უკვე რვა ტურია, გუნდს გოლი არ გაუტანია და ცალი ფეხიც ქვედა ლიგაში აქვს.

თუ იმერეთში „დაბომბვაა“ მოსალოდნელი, ზღვისპირეთში „ომის“ პერსპექტივაა — „ბათუმი“ თბილისის „მერანს“ უმასპინძლებს და, როგორც იტყვიან, ექვსქულიანი მატჩია.

„მერანი“ საპლეიაუტო ადგილზეა და თუ დღეს ვერ მოიგო, დიდი შანსია, ეს ადგილიც დაკარგოს, ამიტომ დასავლეთში წაგება თავიდან უნდა აიცილოს, მაგრამ მეტოქე...

„ბათუმმა“ ბოლო ადგილს თავი დააღწია და თუ დღესაც მოიგებს, „მერანს“ ქულით მიუახლოვდება — ინტრიგა მერე ნახეთ...

ბათუმელებს საკუთარი კედლების გარდა უპირატესობას ახალწვეულებიც აძლევს. მართალია, ახლახან დამატებული გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის თამაში დღეს საეჭვოა, მაგრამ შოთა ბაბუნაშვილმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და გუნდს დაუბრუნდება, „მერანი“ კი დაცვაში დავით გიგაურს მოისაკლისებს.

საღღეისო მეოთხე მატჩი „ამერი“ — „ბორჯომია“. ეს გუნდები ჩემპიონატში წლეულს მეტჯერ აღარ შეხვდებიან, სამაგიეროდ, თასის ნახევარფინალში ორჯერ მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

თასისგან განსხვავებით, დღეს თამაში უფრო მშვიდი უნდა იყოს. თუ „ბორჯომის“ ბოლოდროინდელ „სტრატეგიას“ ვენდობით, გლდანში ახალგაზრდული გუნდით უნდა ჩამოვიდეს და ასეთ შემთხვევაში „ამერს“ მეტოქის ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. თუკი ბორჯომელებმა საბრძოლო შემადგენლობა იახლეს, მაშინ კარგი სანახაობა უნდა გამოდგეს, რადგან ორივე გუნდს აქვს მეოთხე ადგილის დაკავების შანსი.

მეოთხე ადგილზე კი ჯერჯერობით რუსთავის „ოლიმპია“, რომელიც ახალ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილთან ერთად ხვალ ბორჯომში დებიუტანტ ახალციხის „მესხეთს“ ესტუმრება. ცხადია, ქასრაშვილს მუშაობის წაგებით დაწყება არ სურს, თუმც „მესხეთი“ რომ კერკეტი კაკალია, მიმდინარე ჩემპიონატიდანაც ჩანს. თანაც მესხები მონდომებით თამაშობენ — ცხრილში მშვიდად მყოფმა გუნდმა წინა ტურში გაჭირვებულ „დილას“ არაფერი დაუთმო და სტუმრად მოუგო. ასე რომ, ნურც ჩემპიონი ელის იოლ გასეირნებას. თან ტრავმირებული ანტონ კოვალევსკის თამაში ძალიან საეჭვოა.

ბოლო მატჩებია, „დინამოსაც“ გაჭირვებით უწევს მეტოქეების ძლევა. ხვალ დინამოელები ცხინვალის „სპარტაკს“ უმასპინძლებენ, რომელიც თასის მეოთხედფინალიდან მეკარე ბესიკ კოდალაევის კარში გატანილი კურიოზული გოლით გააგდეს. არადა, ამ ორი მატჩის შიხედვით, ვერავინ იტყვის, „სპარტაკს“ მომდევნო ეტაპზე გასვლა არ შეეძლოო.

ცხინვალელები შურისძიებას ხვალ შეეცდებიან, თანაც „დინამოს“ დისკვალიფიკაციის გამო სწორედ კურიოზული გოლის ავტორი მილოშ კრშკო დააკლდებათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნედ ზელიჩიც ტრავმირებულია, „დინამოს“ ავსტრალიურ-სლოვაკური დაცვის ცენტრი ქართულით შეიცვლება.

ცხინვალელები კი ეცდებიან, ცაგრამ რამდენად შეძლებენ, საკითხავი ეს არის. „დინამოს“ ქულების დაკარგვას არც გულშემატკივარი მოუწონებს და არც მეტოქეები იამტიებენ.

საკვირაო მატჩებიდან „მგლები“ — „ლოკომოტივიცაა“ გამოსარჩევი. ზუგდიდში რომ სასურველი შედეგის მიღწევა რთულია, „ზესტაფონმაც“ იწვნია საკუთარ [illegible] ქულები კი არანაკლებ სჭირდება „ლოკომოტივს“ — მოგების შემთხვევაში ვაკელებს შანსი აქვთ, საბედისწერო ბოლო სამეულს დაუსხლტდნენ.

ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დროა და ქულების ფანტვის უფლება არც „მგლებს“ აქვს, თუმცა ამბობენ, მეგრელებს ბოლო დროს საქმეები აერიათო...

მიხეილ ჟორჟოლიანი

დინამო	17	15	0	2	44:9	45
ვიტ ჯორჯია	17	14	1	2	31:9	43
ზესტაფონი	17	12	3	2	32:10	39
ოლიმპი	17	9	3	5	17:12	30
ამერი	17	9	2	6	26:18	29
ბორჯომი	17	8	4	5	22:17	28
მესხეთი	17	7	3	7	17:22	24
მგლები	17	7	2	8	16:19	23
სიონი	17	5	5	7	20:20	20
სპარტაკი	17	4	4	9	7:18	16
მერანი	17	4	1	12	8:27	13
ლოკომოტივი	17	3	3	11	10:24	12
ბათუმი	17	2	3	12	8:31	9
დილა	17	1	4	12	7:29	7

დისკვალიფიცირებულნი:

მილოშ კრშკო (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი), ვიეი დიდავა (ამერი), ჰოლ კესანი (ზესტაფონი), გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია), დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია), ზვიად ჩხეტიანი (ლოკომოტივი), დავით გიგაური (მერანი), მიხეილ ჟღენტი (მერანი), დავით ტლაშაძე (დილა)

ფეხბურთი

თბილისი. ამერის სტადიონი

უმაღლესი ლიგა. მეთვრამეტე ტური

21 მარტი

ამერი — ბორჯომი

თბილისი ბორჯომი

დასაწყისი 15 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

სისტემა ცხოვრებისა და ფეხბურთის

დაზოგილი კალამ-ქაღალდის ამბავი

ბოლო დღეებია, ვამბობთ და ისევ გავიმეორებთ: ძალიან კარგია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფესიული ფეხბურის ლიგამ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი გარიგებულ-ჩაწყობილი თამაშების თემას და გამოძიებისთვის პროკურატურასაც მიმართეს. ჩვენ კი დაპირებულ წერილს გთავაზობთ. შეგახსენებთ, რომ გუშინ „სარბიელმა“ წერილების ციკლის ბეჭდვა დაიწყო, რომლის თემაც სწორედ გარიგებული თამაშებია.

გუშინდელ გაზეთში 1999 წლის „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ (1:2) გახმაურებულ თამაშზე გიამბეთ. ახლა წელიწადნახევრით აქეთ გადმოვიწიოთ და 2001 წლის აპრილს მივადგეთ. დღევანდელი თემაა, როგორ ამხილეს შვიდი წლის წინ რუსთავის „გორდა“ და ბოლნისის „სიონი“ მატჩის (3:2) გარიგებაში...

ვალერი ჩოლარია
და მერაბ ჟორდანია

ბაბრი კალანდარიშვილის ფოტო

სანამ უშუალოდ რუსთავულ მატჩს მივადგებით, 2000-2001 წლების სეზონის რეგლამენტს უნდა გავეცნოთ. პირველ ეტაპზე 12 გუდი ორ წრედ შეხვდა ერთმანეთს, მეორე ეტაპზე კი ზეექვსეული და ქვეექვსეული განცალკევდნენ და განახევრებული ქულებით განაგრძეს ბრძოლა — ზედებმა ჩემპიონობისთვის, ქვედა ექვსეულმა კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

„გორდა“ და „სიონი“ ქვეექვსეულში იყვნენ. ბოლნისელებს პირველი ეტაპის მერე იმდენი ქულა ჰქონდათ, შედარებით მშვიდად ყოფნის საშუალებას რომ აძლევდა. აი, „გორდას“ კი...

რუსთაველები ბოლოდან მესამენი იყვნენ. ბოლო ორი გუნდი ავტომატურად ვარდებოდა პირველ ლიგაში, ბოლოდან მესამე კი გადათამაშებაში ხვდებოდა. „გორდაც“, როგორც მოგახსენეთ, ბოლოდან მესამე იყო.

ხსენებული თამაში 2001 წლის 3 აპრილს ჩატარდა რუსთავში, სადაც „სარბიელს“ კობა ინასარიძე ჰყავდა მივლინებული.

ჩვენს გაზეთს ერთწინადადებიანი მიმოხილვაც ახსოვს, ოღონდ ის სხვა ამბავი იყო, კობა ინასარიძის რუსთავული მიმოხილვა კი 17 სტრიქონში ჩაეტია და ესეც თავისებური სიმცირის რეკორდია. აი, ისიც:

ჩამორჩენილებმა მეორე ეტაპი გუშინლა დაიწყეს და ასევე თუ გაგრძელეს, მათ მატჩებს ის მაყურებელიც მოაკლდება, დღეს რომ ოითებზე დაეთვლება. იმას თუ თამაში ჰქვია, რაც გუშინ „ფოლადზე“ იყო, მაშინ ფედერაციას შეუძლია, თავი საერთოდ აღარ შეიწუხოს და VII-XII ადგილებისთვის ჩემპიონატი აღარც ჩაატაროს.

ეს ფეხბურთი არ იყო! ამიტომაც, ბოდიში, ეს მასხარაობა კალამ-ქაღალდის გახარჯვადაც არ ღირდა.

ყველაზე ცუდი კი ისაა, კაციშვილი არ იტყვის, „გორდა“ — „სიონის“ მატჩის შესვენებაზე რა მოხდა.

ახლა კი ის ვთქვათ, რაც მატჩის ოქმმა ასახა, ჩვენმა ჟურნალისტმა კი მოყოლის ღირსად არ ჩათვალა.

ბოლნისელებმა პირველი ტაიმი მოსეშვილისა და ამბიძის გოლებით 2:0 მოიგეს. შესვენების მერე კი სტუმრები გარდაიქმნენ და „გორდასგან“ 22-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი გაუშვეს. ორი გოლი ალადაშვილმა გაიტანა, მესამე — ჯუღელმა.

იმავე საღამოს კი ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა განცხადება გააკეთა:

სფფ-ის საგანგებო კომიტეტმა არ დაამტკიცა XII ეროვნული ჩემპიონატის 3 აპრილის მატჩის შედეგი: „გორდა“ (რუსთავი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:2. სფფ-ის დელეგატის აზრით, თამაშის მსვლელობა წინასწარ დადგმულ შეთანხმებას წაგავდა. ამ აზრს იზიარებენ წამყვანი სპორტული გაზეთების ის ჟურნალისტები, რომლებიც მატჩს დაესწრნენ. იგივე შეხედულება აქვთ ფეხბურთის სპეციალისტებსა და ვეტერანებს, რომლებმაც მატჩის დამთავრებამდე დემონსტრაციულად დატოვეს „ფოლადის“ სტადიონი.

სფფ-ის საგანგებო კომიტეტი პარასკევს, 6 აპრილს, 13 საათზე ჩატარებს სხდომას, რომელზეც მოიწვევს ორივე გუნდის წარმომადგენლებს, ამ მატჩის დელეგატს და მსაჯთა ბრიგადას. საგანგებო კომიტეტის დასკვნა საბოლოო იქნება.

მატჩის მეორე დღესვე კობა ინასარიძემ დეტალურად აღწერა „გორდა“ — „სიონის“ მიმდინარეობა და ის, თუ რატომ გაუჩნდა ეჭვი თამაშის არაკეთილსინდისიერ მსვლელობაზე:

„გორდა“ — „სიონი“ ერთი შეხედვით, ისე დაიწყო და გაგრძელდა, როგორც უამრავჯერ ყოფილა. მასპინძლები გატანას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. „სიონიც“ ისე არ უტევდა. გასაკვირიც რა იყო — ზედა ექვსეულს ჩამორჩენილი გუნდების მატჩი იყო.

ამ თამაშს „თამაშის“ სუნი რომ უდიოდა, პირველად მაშინ დავეჭვდი, როცა 36-ე წუთზე „სიონმა“ პირველი გოლი გაიტანა. ერთ-ერთმა ბოლნისელმა მარცხენა ფლანგიდან რუსთაველთა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, მასპინძელთა მეკარემ, ჩემიაო, დაიყვირა. მცველებმა, რა თქმა უნდა, ბურთი გაატარეს და... მეკარე ბურთს ვეღარ წაეპოტინა, იქვე მყოფმა ბოლნისელმა კი გაიტანა. ცოტა უცნაური იყო მეკარის ასეთი შეცდომა. შესვენების შემდეგ მოედანზე პირველები რუსთაველები გამოჩნდნენ. ერთ-ორ წუთში მსაჯებიც. ბოლნისელებმა კი რატომღაც უფრო მეტხანს მოინდომეს დასვენება და „გორდას“ გასახდელიდან გამოსვლიდან 8-10 წუთშიღა განახლდა თმაში.

„სიონის“ შემადგენლობაში ორი შეცვლა იყო. ცენტრალური მცველი ცენტრალურ მცველს შეეცვალა, ნახევარმცველი თავდამსხმელს. ესეც გასაკვირი იყო. 49-ე წუთზე კი „სიონმა“ ერთი შეცვლაც გააკეთა — ბახვა მოსეშვილმა მოედანი კოჭლობით დატოვა, თუმც მეორე ტაიმში ისეთი ეპიზოდი არ ყოფილა, დაშავებულიყო. მის ნაცვლად მოედანზე იშვიათად მოთამაშე ჯაფარიძე გამოჩნდა. დადგა 51-ე წუთი. ბოლნისელებმა მეორე გოლი გაიტანეს, მაგრამ სიხარულისა არაფერი ეტყობოდათ, კიდევ უფრო დავეჭვდი. მერე და მერე კი... „გორდას“ სამი ქულისთვის ხომ სამი გოლი სჭირდებოდა? მასპინძლები „მეტოქის“ საჯარიმოდე ისე მიდიოდნენ, ხელის შემშლელი კი არა, იქამდე მიმცილებელიც, პარტნიორთა გარდა, არავინ ჰყავდათ. სხვაობა მალევე შემცირდა, თავდამსხმელს მცველმა გზა დაუთმო და მანაც ახლოდან გაიტანა. მეორე გოლის გატანას „გორდამ“ სამი წუთი მოანდომა. იქამდე თავად ვერ მოახერხეს, თორემ ხელს ვინ უშლიდა. ერთხელ ბურთი ძელს მოარტყეს რუსთაველებმა, ორჯერაც ისეთი მანძილიდან ააცილეს კარს, ძალიან გინდოდეს, ამას ვერ გააკეთებ. ანგარიში კი ისე გათანაბრდა, მეკარე იდგა კარში თუ არა, ამაზეც უნდა დაფიქრებულიყავი. დაახლოებით 20-25 მეტრიდან დარტყმული ბურთის მოგერიება კი შეიძლებოდა, მაგრამ „სიონის“ პირველმა ნომერმა, „რატომღაც“ გაშეშება ამჯობინა. პირველად აღარ ვეჭვობდი, რომ „თამაშს“ ვუყურებდი.

მესამე გოლს კი ცოტა შეაგვიანდა, თუმც ისე გავიდა, კაცს ფეხბურთზე წარმოდგენას დაიკარგავენებდა. 3:2 — „გორდას“ სამი ქულა ჯიბეში ჰქონდა. „სიონს“ კი ასეთი ანგარიშის მიუხედავად, ცენტრის ხაზსაც აღარ ჰკვეთდა.

ერთი სიტყვით, კალმით ყველაფრის აღწერა შეუძლებელია, ისევე, როგორც იმისი მტკიცება, ეს მატჩი ჩაწყობილი იყოო.

და თუ „გორდა“ — „სიონი“ წინასწარ გარიგებული არ იყო, მაშ, ფეხბურთის ფედერაციას ვურჩევთ — ვიდრე გუნდებს ჩემპიონატში მონაწილეობის ნებას დართავთ, ფეხბურთელებს რაიმე ტესტი ჩაუტარეთ, დავუშვათ, თუ იციან ხუთჯერ ბურთის აკენწვლა, ორ მეტრში პასი, ხელით გაგორებული ბურთის გაჩერება...

ამის მერე კი ფედერაციის საგანგებო კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც ლევან ყიფიანმა, ვინაც იმ თამაშზე სფფ-ის ინსპექტორი გახლდათ, ფრიად მნიშვნელოვანი რამ თქვა:

ასეთ თამაშზე, გინდა არ გინდა, უნდა გვეფიქრა, ჩაწყობილიაო. ეს მრავი საფუძველი მაქვს ამის სათქმელად — ლევან ყიფიანმა მატჩის მეორე ტაიმი თითქის მილიანად აღწერა.

ყიფიანმა თქვა ის, რაც დაინახა და ამაში უცნაური, თავისთავად, არაფერია. მაგრამ მოდით, გავიხსენოთ, ბოლო წლებში რომელ ინსპექტორს თუ მსაჯთა დამკვირვებელს უთქვამს მსგავსი რამ...

ვერ ვიხსენებთ და უბედურებაც ეს არის. ოღონდ ნურავინ იტყვის, ეჭვი არც ერთ თამაშზე აღარ გაჩენილაო.

ახლა კი კობა ინსარიძის იმ უმოკლეს მიმოხილვაში გამოთქმულ ვარაუდს მივუბრუნდეთ: ყველაზე ცუდი კი ისაა, კაციშვილი არ იტყვის, „გორდა“ — „სიონის“ მატჩის შესვენებაზე რა მოხდაო.

რა მოხდა შესვენებისას, „სიონის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ თენგიზ კუბლაშვილმა განმარტა, ოღონდ, რამდენად დამაჯერებლად, თავად განსაჯეთ:

— „სიონში“ ხელფას-პრემიები დაურიგებელია. ფულს „გორდასთან“ მატჩის წინ ველოდით, მაგრამ ამაოდ. ბიჭებმა პირველი ტაიმი მაინც ითამაშეს და შესვენებაზე ერთხელაც იკითხეს, ფული თუ მოიტანესო. რომ გაიგეს, ვერაფერს მიიღებდნენ, მეორე ტაიმში აღარ ითამაშეს, ჩაწყობილი არაფერი ყოფილა — ეს „სიონის“ მწვრთნელის თანაშემწე თენგიზ კუბლაშვილის სიტყვებია. თითქმის იგივე გვითხრა ბოლნისელთა გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემაც, რომელსაც მოგვიანებით შევეხმიანეთ.

ერთი საინტერესო პასაჟიც:

თავისი სათქმელი გუშინდელი შეკრების დამსწრე მომღერალმა თემურ წიკლაურმაც თქვა:

— ფეხბურთელები უხელფასობით ფსიქოლოგიურად გატეხილები კი იყვნენ, მაგრამ საკითხავი ისაა, სხვები ფსიქიკურად რა მდგომარეობაში არიან. აგერ „გალათასარაიც“ აგებდა შინ „რეალთან“ 0:2-ს, მაგრამ მაინც მოიგო.

ფეხბურთში მოტრიალე მომღერლის ასეთი „არგუმენტის“ პასუხად, იმ სხდომაზე დამსწრე „სარბიელის“ ჟურნალისტს ცნობილი სიმღერა გახსენებია — იმღერე რამე...

და ისევ სხდომის მიმდინარეობის საგაზეთო ანგარიში:

ბოლო სიტყვა, ცხადია, პრეზიდენტისა იყო. მერაბ ჟორდანია:

— სპეციალისტები, ინსპექტორი, ჟურნალისტები ერთსა და იგივეს ამბობენ. დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტები არანაირად არ იყვნენ დაინტერესებულნი, ასეთი რამ დაეწერათ. მე ვამბობ და მსურს, რომ ორივე გუნდი, „გორდაც“ და „სიონიც“ მოვხსნათ ჩემპიონატიდან. სხვები ჭკუას ისწავლიან. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

შემდეგ საგანგებო კომიტეტი განმარტოვდა. ფედერაციის ჩინოსნებმა საათი-საათნახევარი ითათბირეს და ვერდიქტიც გამოაცხადეს:

1. არასპორტული საქციელისთვის, ფეირ პლეის პრინციპების დარღვევისთვის რუსთავის „გორდას“ ამ მატჩში ჩაეთვალოს წაგება 0:3.

2. ასევე არასპორტული საქციელისთვის, რაც გამოიხატება თამაშის დემონსტრაციულად, უბრძოლველად დათმობაში, ბოლნისის „სიონს“ ამ მატჩში 2:3-ის ნაცვლად, ჩაეთვალოს წაგება 0:3 და ჩამოაკლდეს 3 ქულა.

3. ორივე გუნდს მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.

4. ორივე კლუბის პრეზიდენტს დაევალოთ, ბოლომდე გამოიკვლიონ ზემოაღნიშნული საკითხი და სფფ-ს წარუდგინონ დასკვნა არაუგვიანეს 24 აპრილისა.

მერაბ ჟორდანიამ კი მინი-პრესკონფერენციაზე განგვიცხადა:

— მადლობა ჟურნალისტებს, ეს ამბავი რომ გაახმაურეს. მადლობა მატჩის ინსპექტორ ლევან ყიფიანს, რომელმაც არაფერი დამალა. ვისურვებდი, რომ ჩემპიონატის ყველა მატჩს ყიფიანისნაირი ინსპექტორები ემსახურებოდნენ. „გორდასა“ და „სიონის“ დასჯა მაგალითი იყოს დანარჩენი გუნდებისთვის. ძალიან კი მსურდა, ორივე გუნდი მოგვეხსნა ჩემპიონატიდან, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, ასე დაგვესაჯა. დღეის შემდეგ, დარწმუნებული იყავით, არც ერთ ასეთ შემთხვევას არ დავტოვებთ ინსპექტორის გარეშე. ჩვენთვის [illegible] ხოვანია, გუნდმა თამაში უხელფასობისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო დათმო, ეს არასპორტული საქციელია.

ჩვენ კი ვიტყვით — „გორდაც“ და „სიონიც“ უფრო მკაცრად უნდა დაესაჯათ!

2001 წლის 7 აპრილს კი გიო ახვლედიანმა „სარბიელში“ დაწერა სვეტი, რომლის წაკითხვის მერეც თვალნათლივ გამოჩნდება ქართული ჩაწყობების მთელი ტრაგიკომიკურობა.

გიორგი დარჯანია

მადლობა ჟურნალისტებს, ეს ამბავი რომ გაახმაურესო — ეს სიტყვები ფეხბურთის ფედარაციის წინა პრეზიდენტმა შვიდი წლის წინ თქვა.

ხვალინდელ «სარბიელში»:

ვისთვის ან რისთვის წერს დღეს სპორტული ჟურნალისტი, ანუ რა საჭირო მსაჯთა დამკვირვებელი

გიო ახვლედიანის სვეტი

შეთანხმება

სამოცდაათიანი წლები იწურებოდა, იტალიურ ფეხბურთში რომ სკანდალი ატყდა.

ადრეც უნდა ატეხილიყო, მაგრამ როცა ატყდა, ატყდა და მერე ევროპაში ამის შესახებ ძალიან საინტერესო წიგნები დაიწერა.

ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობის გამო, სერია B-ში დაქვეითდა „მილანი“, თამაში აეკრძალა პაოლო როსის, იტალიური ფეხბურთის სცენიდან გაქრა საქმოსანი იტალო ალოდი... ბევრი გადარჩა, ბევრმა თავი ვერ დაიძვრინა, იტალიური ფეხბურთი კი გადარჩა.

დაღუპვისა არც მანამდე ეტყობოდა რამე და არც შემდეგ. სკანდალიდან სულ მალე იტალიამ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. კიდევ ცოტა ხანში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, „იუვენტუსიც“ ჯიუტად გადიოდა ევროთასების ფინალებში და საერთოდ, ამ ამბავს გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია იტალიურ ფეხბურთზე. ეს იყო, რომ იტალიაში ტოტალიზატორი კანონგარეშედ გამოცხადდა და თუკი ამ სკანდალს ჰქონდა ღრმა შინაური მიზეზი, სწორედ ფსონების გამო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თამაშის ჩაწყობის მთავარი აზრი იქ შავი ხალხის მიერ ფულის მოგება-წაგების ამბავზე უფრო ეკიდა, ვიდრე იმაზე, რომ ვთქვათ, „მილანს“ მაინცდამაინც მესამე ადგილი უნდოდა ცხრილში, „იუვეს“ კი ჩემპიონობა.

და რა არის თამაშის ჩაწყობის აზრი საქართველოს ჩემპიონატში?

აქ თამაშის ჩაწყობას გუნდისთვის თუ ექნება აზრი, თორემ ფსონი რა მოსატანია, ფსონს ვინ გავა ჩვენს თამაშებზე. ვინ ენდობა? გუნდს კი რა უნდა? ადგილი იქ, სადაც არის, ანუ მიჩვეული ადგილი. „გორდა“ — „სიონის“ თამაშის გამო დიდი ამბავია ატეხილი. ეს სრულიად გასაგებია. მისასალმებელია, რომ იწყება ბრძოლა (თუ იწყება) ჩემპიონატის სიწმინდისთვის და იმის წინააღმდეგ, რომ მოედანს გარეთ წყდებოდეს მოედნის ამბები და მოიშალოს მიცემა-მოცემის, ქულათა სესხების სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში იყო საქართველოს ჩემპიონატში და, რის საქართველო, საკავშირო უმაღლეს ლიგაშიც.

ეს ყველაფერი იყო, იყო...

და სამწუხაროდ, არსად წასულა, თორემ ახლა რუსთავის თამაშს რომ მივადგეთ, სასაცილოც იქნება.

აქ ისიც არ არის მთავარი, იღებენ თუ არა გუნდები ქრთამს. აქ ის არის მთავარი, რომ წლეულს მე დაგითმე, გაისად შენ დამითმობ. ეს იცოდა ყოველმა გულშემატკივარმა ძველ დროში. ასეთი იყო სისტემა ცხოვრებისა და ფეხბურთისაც.

თორემ, იტალიაში რა და როგორ, საინტერესოც არაა. იქ სისტემა სხვა იყო და იმ სისტემას არაფერი დაკლებია, უბრალოდ, უსიამოვნო ამბავი ჩამოშორდა სასამართლოს ხელით.

ჩვენთან კი... მაგალითად, თბილისის და მოსკოვის დინამოელები ბარე საბი სეზონი ჭ.ჩ-ს თამაშობდნენ და მაშინ ყველა ამბობდა, შეთანხმებაა. ქრთამი კი არა, შეთანხმება. შეთანხმებას კი ვერ დასჯი, არაპროფესიონალ ფეხბურთელს სულაც არ ევალება მოედანზე თავის მოკვლა. კანონი კი არ ირღვევა, მორალი.

ეს ჩვენთვის უცხო ამბავი სულაც არაა.

ბოლნისელი კახა სიდამონიძე და რუსთაველი გიორგი მიქაძე

„ვითომ“ დაძაბული მომენტი „გორდა“ — „სიონის“ მატჩში

გაფრი ჯეთელაძის ფოტოები

ნაკრებში გამოძახება ყოველთვის მიხარია

კიევის „არსენალის“ თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნდა — დემე კლაუს ტოპმიოლერმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან 26 მარტს გასამართი მატჩისთვის გამოიძახა. კიეველთა ქართველ შემტევს კლუბის ოფიციალური ვებგვერდი მეტნილად სანაკრებო თემაზე ესაუბრა...

— ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებამ არ გაგაკვირვათ?

— აბსოლუტურად არა, რადგან ნაკრებში ყოველთვის მიწვევენ.

— თუმცა ბოლო მატჩებში, ლიტვისა და ლატვიის წინააღმდეგ, არ გითამაშიათ...

— უბრალოდ, იმ შეხვედრებში, მთავარმა მწვრთნელმა თავის გამოჩენის შესაძლებლობა ახალგაზრდებს მისცა. როგორც იტყვიან, უახლოესი რეზერვი შეამოწმა.

— ეროვნულ გუნდში ყოველთვის სიამოვნებით მიემგზავრებით?

— რა თქმა უნდა. ძველი მეგობრების ნახვის საშუალება მეძლევა და საერთოდაც, ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც მოედანზე საკუთარ ქვეყანას წარმოადგენ.

— თქვენს სათამაშო ფორმას როგორ შეაფასებთ?

— ეს სპეციალისტებისა და გულშემატკივრების შესაფასებელია. მე კი იმას გეტყვით, რომ ოთხმოცდაათი წუთის სათამაშოდ უკვე მზად ვარ.

— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები რა მიზანს ისახავს?

— მიზანი ყოველთვის ერთია: ჯგუფიდან გასვლა.

— და ამის გაკეთების ძალა შეგწევთ?

— ჩვენ კარგი გუნდი და მწვრთნელი გვყავს, ამიტომ ამის გაკეთება შეგვიძლია.

ჯაკობიას სარეზერვო ვარიანტი

უკრაინული „ვორსკლას“ თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ჩრდილოეთ ირლანდიასთან 26 მარტს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული. წლის დასაწყისში ჯაკობიამ ტრავმა მიიღო და „ვორსკლას“ არც ერთ მატჩში არ უთამაშია. ჩვენებური კიევში პროფესორ ლინკოს კლინიკაში მკურნალობდა და უკვე სრულად გამოჯანმრთელდა.

„ჯაკობია უკვე შეუდგა ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშს და არ არის გამორიცხული, შაბათს სარეზერვო გუნდში ვათამაშო. ის ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია“ — განუცხადა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს მწვრთნელმა ნიკოლაი პავლოვმა.

შეგახსენებთ: „ვორსკლამ“ ჯაკობია ამ ზამთარს შეიძინა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლევან კორღალიძის დაჩია არ შნანია

კიშინიოვის „დაჩიას“ ქართველი ლეგიონერი ლევან კორღალიძე მოლდოვის ჩემპიონატს იოლად მოერგო — უკვე გოლის გატანაც მოასწრო და იქაურ ჟურნალისტებს საქებარი სიტყვებიც ათქმევინა. კორღალიძეს ინტერვიუ moldfootball-მა სთხოვა...

— „ტირასპოლთან“ მატჩში გოლიც გაიტანეთ და საგოლე პასიც გააკეთეთ. ამას დიდი ხანი ელოდით?

— მხოლოდ სამი ტური. გოლის გატანას ყოველ მატჩში ვცდილობ, მაგრამ ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, გუნდის შედეგია მთავარი. თუ ორივე გამოდის, მაშინ ძალიან კმაყოფილი ვარ.

— თქვენს გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რა შანსი აქვს?

— მთავარია, ყველა მატჩი მოვიგოთ, ხოლო მეტოქეები ქულებს სად დაკარგავენ, უკვე ჩვენზე აღარ არის დამოკიდებული. საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს — მატჩიდან მატჩამდე ვუმატებთ.

— თქვენი აზრით, გუნდში მნიშვნელოვან როლს თამაშობთ?

— დიახ. საერთოდაც, ლეგიონერი თამაშით უნდა გამოირჩეოდეს და გუნდში ლიდერობა შეეძლოს.

— „დაჩიაში“ ადაპტაციის გავლა სწრაფად მოახერხეთ?

— ამ მხრივ, პრობლემა არ შემქმნია. აქ ჩამოსვლისთანავე მივხვდი, რომ „დაჩია“ სწორედ ის გუნდია, სადაც მაღალ დონეზე თამაშს შევძლებდი.

— გუნდმა ჩემპიონატის მეორე ნახევარი კარგად დაიწყო. ალბათ ეს ზამთარში გავლილ ნაყოფიერ მოსამზადებელ პერიოდს უკავშირდება...

— რა თქმა უნდა. მოლდოვაშიც და თურქეთშიც გუნდი ბოლომდე იხარჯებოდა. ჩვენი მზადების შედეგი კი უკვე სახეზეა.

— რომელ ფეხბურთელებთან მოასწარით დამეგობრება?

— ყველასთან. თანაგუნდელებთან საერთო ენა, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, იოლად გამოვნახე. „დაჩიაში“ კარგად მიმიღეს, რისთვისაც ფეხბურთელების მადლობელი ვარ. ასევე მსურს, პატივისცემა გამოვხატო კლუბის ხელმძღვანელობის მიმართ.

— მოლდოვის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით?

— ლატვიის ჩემპიონატში დიდი ხნის განმავლობაში ვთამაშობდი და ჩემი აზრით, იქ უფრო მაღალი დონეა. რიგის „სკონტოში“ ლატვიის ჩემპიონობა ექვსჯერ მოვიგე და ოთხჯერ თასი მოვიპოვე.

— ხომ არ ნანობთ, რომ „დაჩიაში“ გადმოხვედით?

— არა. მოლდოვაში არ ჩამოვედი, თუ მეცოდინებოდა, რომ ეს უკანგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. რადგან აქ ვარ, ესე იგი, ყველაფერი მისაღებია. „დაჩიაში“ თამაშს რომ დავასრულებ, მსურს, ადგილობრივ გულშემატკივრებს დავამახსოვრდე.

— მომავალში რა გეგმა გაქვთ?

— ახლა მხოლოდ „დაჩიაზე“ ვფიქრობ. მინდა, გუნდს მაქსიმალური შედეგის მიღწევაში დავეხმარო. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...

ლომიძის გამხსნელი გოლი

მოლდოვის ჩემპიონატის 22-ე ტურში გოლით გამოირჩა „ზიმბრუს“ ქართველი მცველი მამუკა ლომიძე. „ზიმბრუ“ ბენდერის „დინამოს“ 3:3 დაუზავდა, ჩვენიანმა კი მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში. ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ამ მატჩში სრულად ითამაშა.

ასათიანმა ვარჯიში დაიწყო

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ასათიანმა გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო.

ასათიანი ორიოდ კვირის წინ წელის ტკივილმა შეაწუხა და მას შემდეგ დატვირთვების მიღება აკრძალული ჰქონდა. მალხაზი ახლაც არ არის სრულად გამოჯანმრთელებული, თუმცა თავს უკეთ გრძნობს და რამდენიმე დღეში აღარაფერი შეაწუხებს.

ასათიანის პრემიერლიგის მომავალ ტურში, იაროსლავლის „შინიკთან“ თამაში გამორიცხულია, მერე კი ექიმები ერთხელაც გასინჯავენ და საბოლოო პასუხსაც ეტყვიან.

შეგახსენებთ: ამ ტრავმის გამო მალხაზ საქართველოს ნაკრებსაც დაკლდება ჩრდილოეთ ირლანდიასთან 26 მარტის ამხანაგურ მატჩში.

კახა შალამბერიძე

ცხადაძემ ახლა პენალტზე დაიჩივლა

აზერბაიჯანში თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართა.

კახა ცხადაძის გაწვრთნილმა „სტანდარდმა“ ისევ წააგო გიორგი ადამიას „ნეფთჩისთან“ — 0:1.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, ადამიას ამჯერად არ გაუტანია.

„რა მომენტების გამოუყენებლობაზეა ლაპარაკი, როდესაც პენალტის დარტყმაც არ ვიცით“ — განაცხადა ნამატჩევს ცხადაძემ.

პენალტი კი მისმა შეგირდებმა 0:0-ზე გააცუდეს.

ალექსანდრე გოგობერიშვილისა და ამირან მუჯირის „ბაკი“ კი „გაბალას“ სტუმრობდა. ბაქოელებს შინ 1:1 ჰქონდათ ნათამაშები და გოლის გატანა სჭირდებოდათ. მუჯირის დარტყმულით ეს მოახერხეს კიდეც, მაგრამ საპასუხოც მიიღეს, მატჩისშემდგომი პენალტები კი უხეიროდ შეასრულეს და თასსაც დაკარგავენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

მანჩესტერი 2:0 ბოლტონი

1:0, 2:0 რონალდუ (9, 19)

მანჩესტერი: კუშჩაკი, პარგრივსი, პიკე, ვიდიჩი (ბრაუნი 58), ოში, რონალდუ, ფლეტჩერი, ანდერსონი (სქოულზი 70), ნანი, საა (რუნი 70), ტევეზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბოლტონი: ალ ჰაბსი, სტეინსონი, მეიტე (ჰანტი 46), ე. ობრაიენი, გარდნერი, დიუფი, მაკკანი, გუტრიე (იანაკოპულოსი 82), ჯ. ობრაიენი, ტეილორი, დევისი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: ე. ობრაიენი, სტეინსონი

მსაჯი: ვაილი

75 476 მაყურებელი

ტოტენჰემი 4:4 ჩელსი

0:1 დროგბა (3), 1:1 ჯუდგეტი (12), 1:2 ქინენი (20), 1:3 ჯ. კოული (52), 2:3 ბერბატოვი (61), 3:3 ჰადლსტოუნი (75), 3:4 ჯ. კოული (80), 4:4 კინი (88)

ტოტენჰემი: რობინსონი, ჰატონი, ჯუდგეტი, კინგი (ბენტი 68), შიმბონდა, ლენონი, ჯენსენი (ჰადლსტოუნი 46), ზოკორა, მალბრანკი, ბერბატოვი, კინი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ჩელსი: კუდჩინი, ჰ. ფერეირა (შეჩენკო 90), კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ქინენი, მაკლელენ, ლამბარდი, ჯ. კოული (ბალაკი 82), დროგბა, კალუ (ალექსი 71)

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: კინი, ჰადლსტოუნი, ჯ. კოული, ე. კოული

მსაჯი: რაილი

36 178 მაყურებელი

მაპფრსიუნაიტედი და ბარაქიან ლონდონურ დერბიში „ჩელსიმ“ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და „არსენალთან“ ქულებით გათანაბრების შანსი ხელიდან გაუშვა.

„უაით ჰართ ლეინზე“ სწორედ ისეთი მატჩი გამოვიდა, რის გამოც პრემიერლიგა მსოფლიოში ასე პოპულარულია.

მეტოქემაც აღიარა: გენიალური იყო!

ალან ჰატონისა და დიდე დროგბას სუპერნახტომი

მესამე წუთზე დროგბას გოლმა დერბის ცეცხლი შეუნთო, რომელიც თამაშის ბოლომდე აღარ განელებულა. ჯონ ტერიმ ჩააწოდა, კოტდივუარელმა ფორვარდმა კი თავით გაიტანა — ეს იყო მისი პირველი გოლი პრემიერლიგაში 11 ნოემბრის შემდეგ.

ათ წუთში ჯონათან ვუდგეიტმა უპასუხა — ჯერმეინ ჯენსამ საჯარიმო შეასრულა და „ტოტენჰემის“ მცველმა ბურთს საგოლედ უთავაზა.

ამის მერე ჯო კოულის ზეიმი დაიწყო, რომლის პასითაც მიკაელ ესიენმა „ჩელსი“ კვლავ დააწინაურა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ჯომ სხვაობა ორ ბურთამდე თავად გაზარდა.

მასპინძლებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და გულიანად შეუტიეს. რობი კინის მიერ შესრულებულ ორ კუთხურს ამდენივე გოლი მოჰყვა. ჯერ ბერბეტოვმა იყოჩაღა, შემდეგ კი ჰადლსტოუნმა და „ჩელსის“ ორბურთიანი მარაგიც გაქრა.

ჯო კოულმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, პასკალ შიმბონდა გააბითურა და მეოთხე შეაგდო, მაგრამ რობი კინმა მეტოქეს სამი ქულა მაინც არ გაატანა — 20 მეტრიდან გაიტანა.

ბოლო წამებზე დიმიტარ ბერბატოვს შეეძლო, გამარჯვება გამოეგლიჯა, მაგრამ კარლო კუდიჩინიმ მისი დარტყმული მოიგერია.

ფრის გამო ავრაამ გრანტს ფანების რისხვა არ ასცდება. მან 71-ე წუთზე კალუ ალექსით შეცვალა 2:3-ის შესანარჩუნებლად, მერე კი 3:4-ზე ჯო კოულის მაგივრად მიხაელ ბალაკი შეუშვა.

ჟოზე მაურინიუსგან განსხვავებით, ავრაამ გრანტი პრინციპულ მატჩებს ვერ იგებს. „ჩელსიმ“ „ლივერპულთან“ და „ევერტონთან“ ფრე ითამაშა, „მანჩესტერთან“ და „არსენალთან“ დამარცხდა, ლიგის თასის ფინალში კი „ტოტენჰემთან“ წააგო.

„ეს მატჩი ქომაგებისთვის სასიამოვნო იყო, მაგრამ ჩვენთვის არა — თქვა „ჩელსის“ თავკაცმა — პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა გვყავს და არ მესმის, რატომ გავუშვით სამი გოლი სტანდარტული მდგომარეობისას. სამი ქულა ვერ ავიღეთ, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ“.

„ოლდ ტრეფორდზე“ კრიშტიანუ რონალდუმ „ბოლტონს“ ათ წუთში მოუღო ბოლო. 23 წლის პორტუგალიელმა ამ სეზონის პრემიერლიგაში 23-ე და 24-ე გოლების [illegible] მეოცე წუთისთვის მოასწრო. „ჩელსი ჩესტერმა“ კი „არსენალს“ [illegible] ლით გაუსწრო.

რონალდუს პირველი გოლი კუთხურს მოჰყვა, ხოლო მეორე კრიშტიანუმ საფირმო საჯარიმო დარტყმით შეაგდო — ბურთი დადო, ოთხი ნაბიჯით უკან დაიხია და ისე დაჰკრა, რომ „ბოლტონის“ მეკარე ალ ჰაბსიმ ბურთის ბადეში მოჰკრა თავი.

სტუმართა მწვრთნელმა გარი მეგსონმა ნამატჩევს თქვა: „ჩემთვის ბრალია, რომ ორი გოლი სწრაფად გავუშვით, თუმც მეორე [illegible] იყო. არ ვიცი, როგორ [illegible] რონალდუ, თამაშის შემდეგ ჩვენ ფეხბუროელებიც ამ საჯარიმოზე საუბრობდნენ“.

ვაჟა ხუციშვილი

მანჩესტერი	30	22	4	4	61:15	70
არსენალი	30	19	10	1	58:22	67
ჩელსი	30	19	8	3	53:22	65
ლივერპული	30	16	11	3	55:21	59
ევერტონი	30	17	5	8	47:25	56
პორტსმუთი	30	14	8	8	44:31	50
ასტონ ვილა	30	13	10	7	52:39	49
სიტი	30	13	9	8	36:34	48
ბლეკბერნი	30	12	10	8	39:37	46
ვესტ ჰემი	30	12	7	11	33:36	43
ტოტენჰემი	30	9	9	12	58:51	36
უიგანი	30	8	7	15	27:42	31
მიდლსბრო	30	7	10	13	27:44	31
ნიუკასლი	30	7	8	15	31:57	29
რედინგი	30	8	4	18	35:57	28
ბირმინგემი	30	6	9	15	34:46	27
სანდერლენდი	30	7	6	17	26:48	27
ბოლტონი	30	6	7	17	28:45	25
ფულემი	30	4	11	15	27:49	23
დერბი	30	1	7	22	14:64	10

ბესტზე ბესტი



ალექს ფერგიუსონმა

კრიშტიანუ რონალდუს საუკეთესოთა შორის საუკეთესო უწოდა — პორტუგალიელი ვარსკვლავის ორი გოლით „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ცხრილში სამი ქულით დაწინაურდა.

მაგრამ, ცხრილი ცხრილად და ამ ორი გოლის წყალობით რონალდუს მიერ მიმდინარე სეზონში შესრულებულ შედეგიან დარტყმათა რაოდენობა 33-მდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეგენდარული ჯორჯ ბესტის მიერ 40 წლის წინ დამყარებული რეკორდი რეკორდი აღარ არის.

ფერგიუსონი: „ამდენი გოლის გატანა საოცრებაა. ეს ბიჭის შესაძლებლობებზე მეტყველებს. თანამედროვე ფეხბურთში ამ შედეგის გამეორებას ვერავინ შეძლებდა და ეს დიდებულია. რაც შეეხება ამ 23 წლის ვარსკვლავის კაპიტნობას, არ მინდა, ამისგან მოვლენის შექმნას შევუწყო ხელი. „მანჩესტერის“ კაპიტნობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ რონალდუ ამისკენ ილტვოდა. ერთი სიტყვით, ის ამ დიდ პასუხისმგებლობას კარგად ეგუება და ღირსეულად ართმევს თავს“.

ოთხშაბათს, რონალდუმ საუცხოოდ შესრულებულ ჯარიმათა კოლექციას ახალი შემატა და მისი თამაშით ისედაც აღტაცებული მწვრთნელის კიდევ უფრო დიდი აღტაცება გამოიწვია.

ფერგიუსონი: „მას საჯარიმოების ნიჭი და ტექნიკა ბუნებრივად მოსდგამს, მაგრამ რაც ვიცნობ, სულ ამ დარტყმების დახვეწაშია. საერთოდ, ბურთის მიზანში გაშვება ერთია, მაგრამ გოლის გატანა — სხვა“.

მაშ ასე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ უახლოეს მდევარ „არსენალს“ სამი ქულით უსწრებს, მომდევნო გუნდს, „ჩელსის“ კი ხუთით — ლონდონელმა „ლურჯებმა“ „ტოტენჰემ ჰოთსპურსთან“ 4:4 ითამაშეს, თუმცა სერ ალექსი მათ ჩამოწერას არ ჩქარობს:

„ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა დიდი უპირატესობა არ არის, მაგრამ მაინც ლიდერობაა და ეს ძალიან კარგია. პრემიერლიგას ის გუნდი მოიგებს, რომელიც ყველაზე მეტ თანმიმდევრულობას და სტაბილურობას გამოამჟღავნებს. თუ ამას ჩვენ შევძლებთ, მაშინ თავადვე გავიმარჯვებთ, მაგრამ ვფიქრობ, გასაღები მაინც „ჩელსის“ ხელთაა. საქმე ის არის, რომ „ლურჯები“ ჩვენ და „არსენალს“ შინ გველიან, არადა, ისინი შინ ძალიან ძლიერად თამაშობენ. ერთი სიტყვით, მე ჩემპიონატის ბოლო ნაწილს მაინც დაძაბული ველი. ძალიან საინტერესო იქნება მომავალი ტურიც — ახლა ხომ პრემიერლიგაში უკანალის აწვის პერიოდი დგას“.

ფერგიუსონმა ჩვეულებრივ სასტარტო შემადგენლობასთან შედარებით ბოლო ტურში შვიდი კაცით სახეცვლილი გუნდი ათამაშა. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ კვირას, „ლივერპულის“ წინააღმდეგ მან შეესაძლოა რიო ფერდინანდი ვერ გაუშვას მოედანზე. ფერდინანდს ზურგი ტკივა.

პაპუნა კედია

ბესტი VS რონალდუ

ჯორჯ ბესტი	კრიშტიანუ რონალდუ
„მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩაატარა 470 შეხვედრა.	„მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩაატარა 227 შეხვედრა.
179 გოლი	83 გოლი
რეკორდი: 32 (1967-68 წლების სეზონი)	რეკორდი: 33 (მიმდინარე სეზონი)
ტიტულები: პირველი დივიზიონის ჩემპიონი 1965, 1967	ტიტულები: პრემიერლიგის ჩემპიონი 2007
ჩემპიონთა თასი: 1968	ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი: 2004
ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი: 1968	ლიგის თასის მფლობელი: 2006
ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი: 1968	ქომუნითი შილდი: 2007
	წლის ახალგაზრდა: 2007
	ფანების რჩეული: 2007

ეშლიზე მსაჯს ეშლება

ეშლი კოული ახალი კუთხით მოექცა ყურადღების ცენტრში: „ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შეხვედრაში „ლურჯების“ ვარსკვლავმა მეტოქეს, ალან ჰატონს საშინლად ჩასცხო ფეხი. ასეთი „ორთაბრძოლის“ შემყურე ინგლისურმა გაზეთებმა თამაშის მეორე დღეს კოულს სულ მხეცი უძახეს.

და, როგორ გგონიათ, რა მიიღო ამისათვის კოულმა? მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი ბარათი.

„სფურზის“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი:

„განა ერთხელ და ორჯერ გვინახავს მეტ-ნაკლებად საშიში ორთაბრძოლა მსაჯს წითელი ბარათით რომ შეუფასებია? მაშინ ეს რაღა იყო?“

და, რაც ყველაზე საინტერესოა, „ჩელსის“ მარცხენა მცველმა მსაჯს, მაიკ რილის მიაყენა შეურაცხყოფა — გალანძღა და სრულიად უზრდელურად შეაქცია ზურგი.

23:00	405	ომმეიერლანდი-ეინდჰოვენი	1.50	3.55	5.75	1.05	1.18	2.19
23:00	406	ვენდამი-ხიტარდი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 მარტი						
17:30	407	აპელდორნი-იგლზი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
		ხაბერძნეთი						
		22 მარტი						
18:45	408	ატრომიტოსი-ერგოტელიხი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.66
21:00	409	პანათინაიკოსი-ირაკლიხი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
21:00	410	ვეროია-პაოკ	2.45	3.10	2.65	1.36	1.27	1.42
		23 მარტი						
17:00	411	პანიონიოსი-ასტერას ტრიპოლიხი	2.00	3.00	3.65	1.20	1.29	1.64
18:45	412	ოფი-ქსანთი	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
18:45	413	ლევადეიაკოსი-ოლიმპიაკოსი	9.20	4.35	1.30	2.95	1.13	1.00
21:00	414	კალამარია-აეკ	5.00	3.30	1.65	1.98	1.24	1.10
21:00	415	არისი-ლარისა	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83
		თურქეთი						
		21 მარტი						
22:00	421	ფენერბაჰჩე-კასიმპასა	1.15	6.25	13.50	1.00	1.05	4.27
		22 მარტი						
21:00	416	ისტანბული-ბეშიქთაში	4.00	3.35	1.80	1.82	1.24	1.17
15:30	418	გაზიანთეფი-ბურსა	2.10	3.25	3.15	1.27	1.25	1.59
15:30	426	ოფთასპორი-მანისა	1.95	3.25	3.55	1.21	1.25	1.69
		23 მარტი						
21:00	419	გალათასარაი-დენიზლი	1.30	4.60	8.00	1.01	1.11	2.92
17:00	423	ტრაბზონი-კაისერი	2.20	3.15	3.05	1.29	1.27	1.54
15:30	424	სივასპორი-კონია	1.45	3.75	6.30	1.04	1.17	2.35
15:30	425	რიზე-ანკარაგიუჯიუ	2.25	3.25	2.85	1.32	1.25	1.51
15:30	427	გენსლერბირლიგი-ანკარა	2.00	3.25	3.40	1.23	1.25	1.66
		რუსეთი						
		22 მარტი						
15:00	428	კრილია-ცსკა	3.50	2.80	2.15	1.55	1.33	1.21
20:00	429	სატურნი-ტერეკი	1.45	3.60	6.80	1.03	1.19	2.38
19:30	430	სპარტაკი მ-ტომსკი	1.30	4.20	9.00	1.00	1.13	2.86
17:30	431	შინიკი-ლოკომოტივი მ	2.80	2.70	2.60	1.37	1.34	1.32
		23 მარტი						
16:30	432	რუბინი-ენერგია	1.45	3.60	6.80	1.03	1.19	2.35
17:00	433	ნალჩიკი-ამკარი	2.35	2.70	3.30	1.25	1.37	1.48
19:00	434	დინამო მ-ხიმკი	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
17:00	435	მოსკოვი-ზენიტი	2.75	2.80	2.55	1.38	1.32	1.33
		პოლონეთი						
		22 მარტი						
19:00	436	კორონა-იაგელონია	1.45	3.50	6.50	1.02	1.18	2.27
22:00	437	ვისლა-ოდრა	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
20:00	438	ზაგლებე ლ-რუხი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
19:00	439	გროცლინი-კრაკოვია	1.35	3.90	7.30	1.00	1.13	2.54
19:00	442	პოლონია-გურნიკი	2.85	3.00	2.35	1.46	1.28	1.37
19:00	443	ვიძევი-ლეგია	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		ჩეხეთი						
		22 მარტი						
18:00	444	ლიბერეცი-სიგმა	1.65	3.35	5.00	1.10	1.24	2.00
20:00	446	ბანიკი-ჟეკოვი	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
20:00	447	სპარტა-იაბლონეცი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
		23 მარტი						
20:00	445	ბოჰემიანსი -ბოლესლავი	2.50	2.90	2.80	1.34	1.32	1.42
23:15	448	პლზენი-ტეპლიცე	2.50	2.90	2.80	1.34	1.32	1.42
20:00	450	ბრნო-კლადნო	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
20:00	451	მოსტი-ბუდეიოვიცე	2.15	3.00	3.30	1.25	1.30	1.57
		24 მარტი						
20:15	449	ზლინი-სლავია	4.50	3.20	1.75	1.87	1.25	1.13
		სლოვაკეთი						
		22 მარტი						
20:30	453	ჟილინა-ზლატე მორავცე	1.15	6.25	13.00	1.00	1.05	4.22
20:30	454	ტრენჩინი-ნიტრა	3.50	3.20	1.95	1.67	1.25	1.21
18:00	455	კოშიცე-ბ.ბისტრიცა	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
20:00	457	სლოვანი-ტრნავა	2.30	2.95	3.00	1.29	1.30	1.48
		23 მარტი						
13:30	452	პეტრჟალკა-დუბნიცა	1.25	5.10	9.50	1.00	1.10	3.31
20:30	456	რუჟომბეროკი-ხინეცი	1.50	3.60	5.85	1.05	1.19	2.22
		ირლანდია						
		21 მარტი						
23:45	480	შემროკი-ბრეი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
23:30	481	კორკი-დერი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:45	482	დროგედა-კობი	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
23:45	483	სტ.პატრიკსი-გალვეი	1.55	3.50	5.75	1.07	1.22	2.17
23:45	484	ფინ ჰარფსი-დუბლინი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.92
		22 მარტი						
23:45	485	სლიგო-ბოჰემიანი	2.80	3.15	2.35	1.48	1.27	1.34
		არგენტინა						
		21 მარტი						
23:45	495	ტიგრე-ხიმნასია ქ	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
23:45	502	არსენალი-სან ლორენსო	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
		22 მარტი						
23:45	496	არგენტინოს ხუნიორსი-ოლიმპო	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
23:10	497	როსარიო-ბანფილდი	1.95	3.25	3.35	1.21	1.23	1.64
23:45	498	ხიმნასია ლპ-ურაკანი	2.15	3.15	3.00	1.27	1.25	1.53
23:45	501	რასინგი-ესტუდიანტესი	2.85	3.15	2.25	1.49	1.25	1.31
		23 მარტი						
23:45	499	ლანუსი-ნიუელზი	1.85	3.25	3.70	1.17	1.23	1.73
23:45	500	სან მარტინი-ინდეპენდიენტე	2.65	3.15	2.40	1.43	1.25	1.36
21:00	503	ველესი-რივერ პლეიტი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:10	504	ბოკა ხუნიორსი-კოლონი	1.37	3.80	7.80	1.00	1.16	2.55
		პორტუგალია. თასი						
		22 მარტი						
23:45	730	სეტუბალი-სპორტინგი	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		21 მარტი						
20:00	732	ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი	1.55	4.00	3.75	1.11	1.09	1.93
		კალათბურთი. ესპანეთი						
		22 მარტი						
23:00	676	ხირონა-ხუვენტუდი	2.10	12.00	1.60	1.78	1.00	1.41
		23 მარტი						
15:30	669	მენორკა-ბილბაო	1.70	12.00	2.00	1.48	1.00	1.71
15:30	670	ვალიადოლიდი-უნიკახა	2.20	12.00	1.60	1.85	1.00	1.41
21:30	672	გრანადა-ვალენსია	2.00	12.00	1.60	1.71	1.00	1.41
21:30	673	ფუენლაბრადა-აუნაკბლე	1.50	12.00	2.30	1.33	1.00	1.93
15:30	674	ესტუდიანტესი-მანრესა	1.45	12.00	2.40	1.29	1.00	2.00
15:30	675	ბარსელონა-სან ფერნანდო	1.05	12.00	6.50	1.00	1.00	4.21
		კალათბურთი. ხაბერძნეთი						
		22 მარტი						
21:00	679	აეკ-პაოკ	1.45	12.00	2.40	1.29	1.00	2.00
21:00	680	პანიონიოსი-აგო	1.15	12.00	4.25	1.04	1.00	3.13
21:00	681	აელ-პანელინიოსი	1.65	12.00	2.00	1.45	1.00	1.71
		23 მარტი						
21:00	678	კოლოსოსი-მარუსი	1.60	12.00	2.10	1.41	1.00	1.78

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10002	მიდლსბრო-დერბი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10004	ნიუკასლი-ფულემი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10005	რედინგი-ბირმინგემი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10006	ტოტენჰემი-პორტსმუთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10007	ასტონ ვილა-სანდერლენდი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10008	ბლექბერნი-უიგანი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10009	ბოლტონი-სიტი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10010	ჩელსი-არსენალი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10011	ევერტონი-ვესტ ჰემი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10012	მანჩესტერი-ლივერპული	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10013	უენსდი-კრისტალ პალასი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10014	საუთჰემპტონი-ქოვენთრი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10015	სტოკი-ბლეკპული	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10016	ბარნსლი-შეფილდი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10017	ვულვერჰემპტონი-ქარ	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10018	კარდიფი-ბრისტოლი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10019	ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10020	ლესტერი-ჰალი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10021	ნორვიჩი-კოლჩესტერი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10022	პლიმუთი-უოტფორდი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10023	პრესტონი-ბარნლი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10024	სკანთორპი-იფსვიჩი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10173	ჰერტა-შალკე	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10174	არმინია-ვერდერი	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04
10176	ბაიერნი-ლევერკუზენი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10177	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10178	ნიურნბერგი-ბოხუმი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10179	დუისბურგი-ჰანოვერი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10182	დორტმუნდი-კარლსრუე	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10183	შტუტგარტი-ჰანზა	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10292	სპეცია-ვიჩენცა	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10293	მანტოვა-ალბინოლეფე	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10294	ჩეზენა-ასკოლი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10295	მესინა-ბარი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10296	ტრიესტინა-ბრეშა	3.25	2.00	2.70	1.23	1.47	1.14
10297	ბოლონია-ფროზინონე	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10298	პიზა-გროსეტო	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10299	აველინო-მოდენა	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10300	კიევო-პიაჩენცა	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10301	ტრევიზო-რავენა	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10302	ლეჩე-რიმინი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10358	კლერმანი-აიაჩო	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10359	სედანი-ამიენი	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10360	რეიმსი-ანჟე	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10361	ლე ავრი-ბულონი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10362	ნანტი-დიჟონი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10363	გენიონი-გრენობლი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10364	ბასტია-გენგამი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10365	შატორუ-მონპელიე	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10366	ბრესტი-ნიორი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10367	ლიბურნი-ტრუა	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10368	შარლერუა-ლოკერენი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10369	დენდერი-ბრიუგე	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04
10371	ბრიუსელი-ბეერსხოტი	3.80	2.00	2.35	1.31	1.45	1.08
10372	გენკი-მუსკრონი	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10373	გენტი-ანდერლეხტი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10374	რუზელარე-ვესტერლო	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10375	სტანდარდი-მონსი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10377	ვარეგემი-სტ.ტრუიდენი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10378	სერკლი-მეხელენი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10389	ვიტესი-ბრედა	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10390	ჰერენვენი-როდა	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10391	ალკმაარი-გრაოფსხაპი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10392	პსვ-გრონინგენი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10393	ექსელსიორი-უტრეხტი	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10394	სპარტა-ფეიენოორდი	4.20	2.00	2.20	1.35	1.44	1.04
10395	ტილბურგი-ჰერაკლესი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10396	ტვენტე-აიაქსი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10397	ვენლო-ნაიმეგენი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10398	კამბური-დენ ბოსხი	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10399	ვოლენდამი-ოსი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10400	ჰელმონდი-ვალვაიკი	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10401	მაასტრიხტი-ემენი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10402	ზვოლე-ტელსტარი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10403	დენ ჰაგი-ჰაარლემი	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10404	როზენდალი-დორდრეხტი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10405	ომნივორლდი-ეინდჰოვენი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10406	ვეენდამი-სიტარდი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10407	აპელდორნი-იგლზი	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10416	ისტანბული-ბეშიქთაში	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04
10418	გაზიანთეფი-ბურსა	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10419	გალათასარაი-დენიზლი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10421	ფენერბაჰჩე-კასიმპასა	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10423	ტრაბზონი-კაისერი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10424	სივასპორი-კონია	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10425	რიზე-ანკარაგიუჯიუ	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10426	ოფთასპორი-მანისა	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10427	გენჩლერბირლიგი-ანკარა	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11002	მიდლსბრო-დერბი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	17.00
11004	ნიუკასლი-ფულემი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11005	რედინგი-ბირმინგემი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11006	ტოტენჰემი-პორტსმუთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11007	ასტონ ვილა-სანდერლენდი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11008	ბლექბერნი-უიგანი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11009	ბოლტონი-სიტი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11010	ჩელსი-არსენალი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11011	ევერტონი-ვესტ ჰემი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11012	მანჩესტერი-ლივერპული	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11013	უენსდი-კრისტალ პალასი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11014	საუთჰემპტონი-ქოვენთრი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11015	სტოკი-ბლეკპული	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11016	ბარნსლი-შეფილდი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11017	ვულვერჰემპტონი-ქარ	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11018	კარდიფი-ბრისტოლი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11019	ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11020	ლესტერი-ჰალი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11021	ნორვიჩი-კოლჩესტერი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11022	პლიმუთი-უოტფორდი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11023	პრესტონი-ბარნლი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11024	სკანთორპი-იფსვიჩი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11173	ჰერტა-შალკე	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11174	არმინია-ვერდერი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11176	ბაიერნი-ლევერკუზენი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11177	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11178	ნიურნბერგი-ბოხუმი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11179	დუისბურგი-ჰანოვერი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11182	დორტმუნდი-კარლსრუე	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11183	შტუტგარტი-ჰანზა	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11292	სპეცია-ვიჩენცა	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11293	მანტოვა-ალბინოლეფე	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11294	ჩეზენა-ასკოლი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11295	მესინა-ბარი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11296	ტრიესტინა-ბრეშა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11297	ბოლონია-ფროზინონე	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11298	პიზა-გროსეტო	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11299	აველინო-მოდენა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11300	კიევო-პიაჩენცა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11301	ტრევიზო-რავენა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11302	ლეჩე-რიმინი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11358	კლერმანი-აიაჩო	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11359	სედანი-ამიენი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11360	რეიმსი-ანჟე	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11361	ლე ავრი-ბულონი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11362	ნანტი-დიჟონი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11363	გენიონი-გრენობლი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11364	ბასტია-გენგამი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11365	შატორუ-მონპელიე	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11366	ბრესტი-ნიორი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11367	ლიბურნი-ტრუა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11368	შარლერუა-ლოკერენი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11369	დენდერი-ბრიუგე	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11371	ბრიუსელი-ბეერსხოტი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11372	გენკი-მუსკრონი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11373	გენტი-ანდერლეხტი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11374	რუზელარე-ვესტერლო	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11375	სტანდარდი-მონსი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11377	ვარეგემი-სტ.ტრუიდენი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11378	სერკლი-მეხელენი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11389	ვიტესი-ბრედა	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11390	ჰერენვენი-როდა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11391	ალკმაარი-გრაოფსხაპი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11392	პსვ-გრონინგენი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11393	ექსელსიორი-უტრეხტი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11394	სპარტა-ფეიენოორდი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11395	ტილბურგი-ჰერაკლესი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11396	ტვენტე-აიაქსი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11397	ვენლო-ნაიმეგენი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11398	კამბური-დენ ბოსხი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11399	ვოლენდამი-ოსი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11400	ჰელმონდი-ვალვაიკი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11401	მაასტრიხტი-ემენი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11402	ზვოლე-ტელსტარი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11403	დენ ჰაგი-ჰაარლემი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11404	როზენდალი-დორდრეხტი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11405	ომნივორლდი-ეინდჰოვენი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11406	ვეენდამი-სიტარდი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11407	აპელდორნი-იგლზი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11416	ისტანბული-ბეშიქთაში	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11418	გაზიანთეფი-ბურსა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11419	გალათასარაი-დენიზლი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11421	ფენერბაჰჩე-კასიმპასა	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11423	ტრაბზონი-კაისერი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11424	სივასპორი-კონია	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11425	რიზე-ანკარაგიუჯიუ	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11426	ოფთასპორი-მანისა	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11427	გენჩლერბირლიგი-ანკარა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

ქართული ლეგიონი

მარკოიშვილმა ტურა ვერ მოკლა

ლეგიონერთა საქმეთა მიმოხილვას ტრადიციულად, სამშაბათობით გთავაზობთ ხოლმე, რაკი ევროპულ ქვეყნებში ჩემპიონატის მატჩები ძირითადად უქმეებზე იმართება. თუმც არის გამონაკლისებიც და ახლა სწორედ ასეთი შემთხვევაა. რამდენიმე ქვეყანაში ტური შუა კვირაში ჩატარდა, ამასთან ჩვენებურებმა ევროლიგასა და ულიბის თასზეც ითამაშეს

უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევს“ უკრაინის ჩემპიონატში არ უთამაშია, თუმცა ულიბ-ის თასზე მოუწია დიდი ჭაპანწყვეტა და ცოტაც რომ გამართლებოდა, უიმედო საპლეიოფო სერია იქნებ სათავისოდ შეეტრიალებინა.

კიეველებმა მერვედფინალის პირველი მატჩი უკრაინაში 11 ქულით, 59:71 წააგეს პოლონურ „ტუროვთან“ და საპასუხო მატჩში წელებზე ფეხი უნდა დაედგათ, ამხელა გარღვევა რომ აღმოეფხვრათ. მატჩი არა პოლონეთში, არამედ ჩეხეთში, ქალაქ ლიბერეცეში გაიმართა და კიეველთა გამარჯვებით დასრულდა. უკრაინულ გუნდს სულ რაღაც 3 ქულა დააკლდა, რომ მცირე სასწაული მოეხდინა — „ტუროვი“ 67:58 დაამარცხა, თუმცა 9-ქულიანი გამარჯვება საკმარისი არ აღმოჩნდა.

ქართველმა უკანახაზელმა მხოლოდ 8 წუთი ითამაშა და 4 ქულა დააგროვა, მაგრამ ბოლო წამზე ნასროლი სამქულიანი რომ ჩაეგდო, მატჩის გმირი გახდებოდა. კიეველები სირენამდე 37 წამით ადრე 11 ქულას იგებდნენ, როცა ტუროველმა დეივიდ ლოგანმა ორიანი მიიღო და ანგარიში პოლონელთათვის ხელსაყრელი გახადა. კიეველებმა ბოლო შეტევის დაგვირგვინება მარკოიშვილს ანდეს, რომელმაც, სამწუხაროდ, სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი ააცილა...



მანუჩარ მარკოიშვილმა ბოლო წამზე აცილებული სამქულიანით „ბკ კიევი“ დააღალატა

საბერძნეთი

ევროლიგას დაემშვიდობა ვლადიმერ ბოისას „არისი“. სალონიკურმა გუნდმა მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი შინ „ლიეტუვოს რიტასთან“ 83:74 მოიგო, თუმც მეოთხედფინალში გასასვლელად ეს არ ეყო. თურქულმა „ფენერბაჰჩემ“ ჯგუფის ლიდერი „ტაუ“ შინ დაამარცხა და პლეი ოფშიც ის გავიდა.

ბოისამ ლიტველებთან მატჩი ხუთეულში დაიწყო, თუმცა ღირსსახსოვარი არაფერი გაუკეთებია — 3 ქულას და 1 მოხსნას დასჯერდა.

ესტონეთი

კვლავ ბარაქიანი ტური ჰქონდათ ესტონეთში მოთამაშე ქართველებს. გიორგი ცინცაძის „როკს“ და სერგო ათუაშვილის ტტუ-ს ერთი და იგივე მეტოქე ჰყავდათ — ტალინის „კალევი“. დედაქალაქელებს ერთ დღეს რომ ცინცაძის გუნდი შეხვდა, მეორე დღეს ათუაშვილისას გაეჯიბრა.

პირველ ადგილზე მყოფ „კალევს“ „როკი“ კვალში უდგას და ამათი მატჩი ერთობ პრინციპული იყო. თამაში ტალინში გაიმართა და ცინცაძის გუნდის გამარჯვება ამადაც არის სასიამოვნო. გიომ 23 წუთი გაატარა მოედანზე და 14 ქულა, 2 მოხსნა და 5 პასი გაჩარხა, „როკმა“ კი „კალევი“ 67:61 დაამარცხა.

კონკურენტთან წაგებით გაფუჭებული ხასიათი „კალევმა“ ესტონური ლიგის აუტსაიდერ ტტუ-სთან ნაწილობრივ მაინც გამოიკეთა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ათუაშვილის გუნდი ბოლო მეოთხედის წინ 3 ქულას იგებდა და „კალევმა“ ბოლოსდა მოახერხა აუტსაიდერის გატეხვა.

ათუაშვილისთვის ეს მატჩი განსაკუთრებული იყო. ის 2 კვირის წინ სწორედ „კალევიდან“ გადავიდა ტტუ-ში, რაკი იქ თამაში თითქმის არ უწევდა. ტტუ-ში კი სერგო ძირითადი ცენტრია და ნელ-ნელა გუნდის ლიდერადაც ყალიბდება. ის „კალევთან“ მატჩში დამწყებ ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 27 წუთში 17 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

ესპანეთი

გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა ბოლო დროს მოყოჩაღებულ „კახასოლს“. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა ტაირონ ელისმა „მენორკას“ 37 წუთში 8 ქულა ჩაუგდო და თავისიანებს 3 პასი ჩამოურიგა, თუმც „კახასოლმა“ ბოლო წუთზე 75:77 წააგო და ცხრილში აღმასვლა შეწყვიტა. „კახასოლი“ 18-გუნდა პრიმერადივიზიონში მე-13 ადგილზეა და გასავარდნთა ზონისგან ოდნავ მოშორებით უჭირავს თავი.

ირაკლი კერტაია

საქართველომ ლატვიაში რუსეთი მოიტოვა

პატარა თავისუფლებმა მედლები დააგროვეს

14-16 **მარტს** ლატვიის დედაქალაქ რიგაში ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ბალტიისპირეთში 15 ქვეყნის მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი. ქართველებმა ტურნირი ბარაქიანად მოილიეს. მათ 2 ოქროს, 4 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს და გუნდურ პირველ ადგილსაც გამოჰკრეს ხელი. მეორე ადგილზე მეზობელი რუსეთი გავიდა, ხოლო მესამეზე — უკრაინის ნაკრები. ოქროს მედლები გიორგი მაყიშვილმა (60 კგ) და გიორგი ჩიქოვანმა (96 კგ) ირგუნეს. ვერცხლის კი ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (50 კგ), გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ), თორნიკე სვანიძემ (84 კგ) და ლევან ბერიანიძემ ჩამოიტანეს. ბრინჯაოსანი ზაურ აბრამიშვილი (66 კგ) გახდა.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. თავიდან სიტყვა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა *ნუგზარ სხიერელმა* აიღო — 11 წელია, რაც ეს ტურნირი ტარდება და ჩვენ ბოლო ორ შეიჯიბრზე გამვედით. შარშან და წლეულს ჩემპიონობა არავის დავუთმეთ. რაც მთავარია, საკმაოდ დამჯერებლად ვიპირველეთ. საქართველოს ნაკრებს 70 ქულა დაუგროვდა, როცა მეორეზე გასულ რუსეთს 53, ხოლო მესამეადგილოსან უკრაინას მხოლოდ 45 ქულა ჰქონდა. ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ახლა მთელი აქცენტი ევროპის ჩემპიონატზეა გადატანილი, რომელიც ივლისში სლოვაკეთში ჩატარდება. 9-11 მაისს თურქეთის საკმაოდ ძლიერი საერთაშორისო ტურნირი გველის. 30-31 მაისს კი დიდებს იტალიის ტურნირი უწევთ, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ იქ მთავარი ნაკრების ნაცვლად, ახალგაზრდები წავიდნენ და გამოცდილება შეიძინონ. ფაქტია, რომ მთავარ გუნდში ბევრი ასაკიანი მოჭიდავეა და მათ ღირსეული ჩანაცვლება სჭირდებათ. უკვე გამოიკვეთნენ ლიდერებიც — 55 კგ-ში გიორგი ედიშერაშვილი ალბათ ევროპაზე წავა. 60 კგ-ში გიორგი მაყიშვილი გვყავს. კარგი ბიჭია თენგიზ ჩოჩიშვილი. 66 კგ-ში ზურაბ აბრამიშვილი, 74 კგ-ში გიორგი მარსაგიშვილი უმედლოდ დაგვირჩა და ეს წონა გასარკვევია, თუმც აქ გოჩა ლომთათიძეც არის. 84 კგ-ში თორნიკე სვანიძეა, მან საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო. 96-კგ-ში გიორგი ჩიქოვანმა სასიამოვნოდ გამაკვირვა, მან საგრძნობი პროგრესი განიცადა. მძიმეში ლევან ბერიანიძეა, ვინც ფინალი რუს გოლიათთან წააგო. არადა, ის ბიჭი რუსებს დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდათ. თავად განსაჯეთ, როგორ ფალავანთან დამარცხდა. გვინდა, რომ არჩევანი დიდი იყოს, ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიოს პირველობას შორის სულ 9 დღეა. ამის მერე ორიოდე სიტყვა მსაჯმა *ზაზა ჯიბლაძემ* თქვა, ვინც რიგაშიც ასრულებდა თავის მოვალეობას — ვფიქრობ, საჭიროა, რომ მოჭიდავეებმა და მსაჯებმა ვითანამშრომლოთ. წესებთან დაკავშირებით, რიგაში ახლაც ბევრი სიახლე დაგვხვდა. ამ მხრივ, ბიჭებს პრობლემები რომ არ შეექმნათ, ნადვილად აუცილებელია აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ლექსო მაისურაძე

NHL რეგულარული ჩემპიონატი

19 მარტი

ნიუ ჯერსი 125:117 ატლანტა

ნიუ ჯერსი: ჰარისი (26), კარტერი (39 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ჯეფერსონი (33), უილიამსი (5), ბუნი (6); ნახბარი (11), უილიამსი (3), ჰასელი (2), არმსტრონგი, სვიფტი, დიოპი

ატლანტა: ბიბი (15), ჯონსონი (24), უილიამსი (15), სმიტი (20), ჰორფორდი (20 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი); ფაჩულია (14 წუთი, 11 ქულა, 7 მოხსნა), ჩილდრესი (8), ლიუ (4), კესტერ

ფილადელფია 115:113 დენვერი

ფილადელფია: მილერი (28 ქულა, 12 პასი), იგუდალა (21), დალემბერტი (17, ქულა 12 მოხსნა, 5 დაფარება)

დენვერი: აივერსონი (32), ენტონი (26), მარტინი (22)

კლივლენდი 89:73 დეტროიტი

კლივლენდი: ჯეიმსი (30), ილგაუსკასი (20)

დეტროიტი: ვოლესი (16), ჰამილტონი (14)

ნიუ ორლეანი 90:69 ჰიუსტონი

ნიუ ორლეანი: ველსი (25), ვესტი (23 ქულა, 11 მოხსნა), პოლი (21 ქულა, 10 პასი)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (15)

ინდიანა 102:95 შარლოტი

ინდიანა: მიურეი (22), მერფი (18)

შარლოტი: რიჩარდსონი (20 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), კეროლი (18), ვოლესი (17)

ორლანდო 86:87 ვაშინგტონი

ორლანდო: თურქოღლუ (39), ბოგანსი (14)

ვაშინგტონი: ჯემისონი (31 ქულა, 11 მოხსნა), სტივენსონი (14)

მინესოტა 98:94 მემფისი

მინესოტა: ჯეფერსონი (29 ქულა, 13 მოხსნა), მაკკანტსი (19)

მემფისი: გაი (25), მილერი (20)

სიეტლი 98:110 ფინიქსი

სიეტლი: გრინი (19), დურანტი (16), რიდნური (16)

ფინიქსი: სტუდემაიერი (26), ნაში (23 ქულა, 11 პასი), ბელი (20), ბარბოსა (19)

კლიპერსი 100:116 გოლდენ სტეიტი

კლიპერსი: ტორნტონი (24 ქულა, 13 მოხსნა), მაგეტი (21), ტომასი (20)

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (29), დეივისი (28)

ტორონტო 96:54 მაიამი

ტორონტო: ბარნანი (14), პარკერი (14)

მაიამი: ჭუნინი (14)

NHL რეგულარული ჩემპიონატი

19 მარტი

ატლანტა 3:5 კაროლინა

0:3 2:1 1:1

0:1 ლეტოვსკი (5), 0:2 სამსონოვი (7), 0:3 სტაალი (14), 1:3 ლიტლი (22), 1:4 იენსენი (24), 2:4 მაკარტი (25), 2:5 კოული (55), 3:5 ლიტლი (60)

გუფფალო 7:4 ტაფპა

1:2 0:2 6:0

0:1 ჰალპერნი (3), 0:2 სენ ლუი (11), 1:2 პომინვილი (14), 1:3 ლეკავალიე (25), 1:4 ლეკავალიე (39), 2:4 პომინვილი (46), 3:4 ჰეხტი (46), 4:4 ვანეკი (49), 5:4 ვანეკი (54), 6:4 ვანეკი (57), 7:4 ჰეხტი (60)

ნიუ ჯერსი 1:2 რეინჯერსი

1:0 0:0 0:1 0:0 (ბულიტებით 0:1)

1:0 ზუბრუსი (7), 1:1 დრური (56)

დეტროიტი 3:1 კოლომბუსი

0:0 0:1 3:0

0:1 მალპოტრა (28), 1:1 ზეტერბერგი (47), 2:1 ზეტერბერგი (59), 3:1 ზეტერბერგი (59)

დალასი 1:2 ანაჰაიმი

1:0 0:1 0:1

1:0 მოროუ (13), 1:1 სნიდერმაიერი (25), 1:2 ბერტუცი (60)

ჩიკაგო 5:0 ვაშინგტონი

4:0 1:0 0:0

1:0 უილიამსი (2), 2:0 ტეივსი (4), 3:0 პეტრო (10), 4:0 შარპი (18), 5:0 ბოლეკი (31)

სან ხოსე 4:3 მინესოტა

1:0 1:1 1:2 0:0 (ბულიტებით 1:0)

1:0 რონიკი (18), 1:1 ველიო (21), 2:1 ბრაუნი (24), 2:2 გაბორიკი (46), 3:2 პაველსკი (58), 3:3 გაბორიკი (60)

დავით ნამგალაური და თამაზ თევზაძე

ხელბურთელებმა ევროპას ხელი გაუწოდეს

გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ევროპის ხელბურთის ფედერაციაში განაცხადი გაგზავნა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში საქართველოს ნაკრების მონაწილეობაზე. სპორტის დეპარტამენტში გუშინვე პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ამ საკითხის გარდა ახალგაზრდულ ჩემპიონატსა და საუნივერსიტეტო ხელბურთსაც შეეხნენ. ჟურნალისტებს დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაური, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, ნაკრების თავკაცი იმედო ფხაკაძე და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკა ამაშუკელი ესაუბრნენ.

დავით ნამგალაური — „გვინდა, ის გეგმები, რაც წლის დასაწყისში დავისახეთ, განვახორციელოთ. ახალგაზრდა ხელბურთელების ჩემპიონატის დასკვნით ტურს ოზურგეთის ახალი სპორტის სასახლე უმასპინძლებს. დიდი ყურადღება დაეთმობა საუნივერსიტეტო ხელბურთს. წლების მანძილზე ნაკრების მთავარი დასაყრდენი სტუდენტები იყვნენ და გვინდა, ეს ტრადიცია გაგრძელდეს. გუნდურ სახეობებში დიდ ყურადღებას დავუთმობთ ხელბურთსაც. სწორი მუშაობის შემთხვევაში დიდი შანსია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მოვხვდეთ.“

თამაზ თევზაძე — „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ხელბურთის გეოგრაფია მაქსიმალურად გაფართოვდეს. 1992 წელს დაბადებულთა ნაკრებს ერთობლივი ვარჯიშები ექნებათ ნორვეგიაში იქაურ თანატოლებთან. ზაფხულში სტუდენტური მსოფლიოს უნივერსიადა გაიმართება, იქ წამსვლელი ბიჭები კი შინაური რვაგუნდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატიდან შეირჩევიან. ნორვეგიაში იანვარში გამართულ ევროპის ჩემპიონატს არაერთმა მილიონმა ადამიანმა უყურა. ამ სპორტს მსოფლიოში ბევრი ქომაგი ჰყავს და ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ.“

გეტყვით, რომ 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის კენჭისყრა ვენაში 18-20 აპრილს გაიმართება. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წესები შეცვალა და ის ფეხბურთის ანალოგიური იქნება. ანუ ნაკრებები რეიტინგის მიხედვით განთავსდებიან კალათაში. განვმარტოთ — იმის გამო, რომ საქართველოს ნაკრები ეგრეთ წოდებულ მეორე ეშელონის გუნდებს განეკუთვნება, შედარებით სუსტთა კალათში განთავსდება და სამწუხაროდ, ბობოლა გუნდების შეხვედრის შანსი დიდია. ერთიც — ხელბურთის ფედერაცია ცდილობს, ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მეტოქეები მოძებნოს. ერთი ვარიანტი უკვე არის. ბრიტანეთმა ჩვენთან გაჯიბრება მოისურვა.

ლექსო მაისურაძე

რევაზ ჭანტურია მაკედონიის თავშია

ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის რევაზ ჭანტურიას მაკედონიურმა „მეტალურგმა“ შინაური ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად „პელისტერს“ 28:26 მოუგო და ცხრილის თავში ადგილი გაიმყარა. „მეტალურგი“ ახლა 41 ქულით ლიდერობს ჩემპიონატს და 3 ქულით უსწრებს უშუალო კონკურენტ „ვარდარს“. ეს ორი გუნდი დანარჩენ მდევრებს გვარიანი უპირატესობით უსწრებს და მათ დაპირისპირებაში ვერც ვერავინ ჩაერევა. ასე რომ, ჩემპიონის ვინაობაც მათ შორის უნდა გაირკვეს. განვლილ ტურებში მათი ჯახი უკვე შედგა და „მეტალურგმა“ ქალაქ სკოპიეს დერბიში ჯერ მოიგო და მერე ფრეს გამორჩა, ამდენად, ქართველს და მის გუნდს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვთ. „პელისტერთან“ თამაში კი რეზომ უგოლოდ დაასრულა, რადგან მე-15 წუთზე ხელი იტკინა.

ლექსო მაისურაძე

ფიგურული სრიალი

მსოფლიოს ჩემპიონატი. გიოტებორგი. შვედეთი

წყვილები

1	ალიონა საგჩენკო, რობინ ჟოლკოვი (გერმანია)	202.86
2	დან ჟანგი, ჰაო ჟანგი (ჩინეთი)	197.82
3	ჯესიკა დუბე, ბრიუს დევისონი (კანადა)	192.78

ლევან გორგაძემ სადებიუტო წაგება



ერთი დღე მაკუჩიში

ტოჩინოშინად წოდებული ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე გასული ძურიოს ტურნირის გამარჯვებულია. მან მიმდინარე ბაშოზეც შეძლო 7 გამარჯვების მოპოვება. ამის გამო ქართველი გოლიათი ერთი დღით მაკუჩი ლიგაში აჭიდავეს, სადაც იგი დასავლეთის მე-15 მაეგაშირა ვაკაკირინის შეხვდა. სამწუხაროდ, მაკუჩი ლიგაში გორგაძის დებიუტი მარცხით დასრულდა. ვაკაკირინმა მას ცუკიოტოშით აჯობა. ახლა ტოჩინოშინის მონაგარი გახლავთ 7 მოგება 5 მარცხის წილ. ჩვენებურს დადებითი ბალანსის ან კატიკოსის მისაღწევად ერთი გამარჯვებაღა ესაჭიროება.

ლევან ცაგურია, იგივე კოკაი კი თავის ერთ-ერთ წარმატებულ ტურნირს ატარებს. მიმდინარე ოსაკას ბაშოზე „შავ ზღვას“ უკვე 9 გამარჯვება მოუგროვდა და მეორე ადგილოსან ხაკუხოს მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩება. ლეგენდარულმა ასასიორუმ კი ბაშოზე პირველი წარუმატებლობა განიცადა. იგი სეკივაკე კოტოშოგიკუსთან დამარცხდა. კოკაის მომავალი მეტოქე იაპონელი ტაკამისაკარი გახლავთ. იაპონელს ცაგურიას მსგავსი ბალანსი აქვს. მათი ორთაბრძოლა 21 მარტს გაიმართება.

ზურაბ მიგრიაული

ოლიმპიური გამოწვევა საქართველოს

21-22 მარტს თბილისში, არმიის სპორტულ კლუბში, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ ქართველ ძიუდოისტებისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართება. შეჯიბრებას „ოლიმპიური გამოწვევა“ ჰქვია და მასში საქართველოს 13 რეგიონის 320-მდე სპორტსმენი იჭიდავებს. თითოეულ წონით კატეგორიაში ჩემპიონ-პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

შეჯიბრებას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ატარებს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით, გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას მიმართეს საქართველოს ძიუდოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა.

დავით ნამგალაური — „როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ახლა ოლიმპიური გუნდის მზადებაზე ვართ გადართულნი. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა პეკინში წამსვლელებს სათანადო პირობები და განწყობა შეექმნათ. ეს ტურნირი ძიუდოს ნაკრების მოტივაციის ასამაღლებლად და ძველი ოლიმპიელების პატივსაცემად ტარდება. თან მოზარდი მოჭიდავეები ფასდაუდებელ გამოცდილებას შეიძენენ. ამგვარ შეჯიბრებებს თითქმის ყველა სახეობაში ვაკეთებთ. ვიმედოვნებ, ამ ტურნირების გულშემატკივარი არ მოაკლდება.“

ზურაბ მიგრიაული

კაცები. ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო. 3 589 000 დოლარი

მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (23, ხორვატია) 6:3 6:4; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ენდი მიურეი (11, ბრიტანეთი) 2:6 7:5 6:3; **მარდი ფიში** (აშშ) — ლეიტონ ჰიუიტი (24, ავსტრალია) 7:5 3:6 7:6; **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) — ხუან-კარლოს ფერერო (22, ესპანეთი) 6:2 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:1 5:7 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — გილერმო კანასი (16, არგენტინა) 6:2 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:4 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (17, საფრანგეთი) 6:7 7:6 7:5

ქალები. ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 100 000 დოლარი

მეოთხედფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) — აგნეშკა რადვანსკა (10, პოლონეთი) 6:2 6:4; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) 7:6 6:1

ჯეიმს ბლეიკმა ინდიან უელსიდან რიშარ გასკე დაიფრინა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

უცნობთა ფორმულირება

მწვანე კონტინენტზე ახალმა სიომ დაჰბერა

კვირას „ავსტრალიის გრან პრით“ დაწყებულ მსოფლიოს 59-ე საპირველფორმულო ჩემპიონატში ხუთი მრბოლი ჩაება, რომლებისთვისაც ეს პირველი სრული სეზონია. ორი მათგანი, ასე ვთქვათ, აბსოლუტური დებიუტანტია — ფრანგი სებასტიენ ბურდე და ბრაზილიელი ნელსინიო პიკე პირველად გავიდნენ „სამეფო რბოლების“ სტარტზე. კიდევ სამი მეტ-ნაკლებად გამოცდილია — მხოლოდ ერთეტაპიანი იაპონელი კაძუკი ნაკაჯიმა, შორეულ 2004 წელს ოთხჯერ გაჯირითებული გერმანელი ტიმო გლოკი და მისი ვუნდერკინდი თანამემამულე, შარშან ნახევარ ჩემპიონატმოვლილი სებასტიან ფეტელი.

გამორჩეული ყურადღება, რა თქმა უნდა, „უცნობი“ მძღოლების გამოსვლამ მიიქცია



ბითაც საქმის ცოდნით იცავდა თავს და საერთოდ, არ შემცდარა. მელბურნში იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო, ნაღდი მეოთხე ადგილი დავკარგეთ. ყველაფერს ვიღონებთ, რათა მომდევნო უიქენდზე წარმატებას მივაღწიოთ, თუმც უნდა ვაღიარო, რომ სეზონის განმავლობაში მეოთხე ადგილისთვის ბროლას ხშირად ვერ შევძლებთ. ამიტომ გუნდი ვალდებულია, ყოველი ასეთი შანსი გამოიყენოს“.

უნიკალური ბაგეტი

სებასტიენ ბურდე საპირველფორმულო თითქმის 60-წლიან ისტორიაში 66-ე ფრანგი მრბოლია. ამ ერთი შედეგიანი ეტაპით მან ერთბაშად 10 უქულო თანამემამულე ჩამოიტოვა უკან.

სადებიუტო რბოლაში ქულის მოპოვება იშვიათი ამბავია. ყველაზე ახალგაზრდა პილოტი, ვინც ეს შეძლო, ბურდეს სეხნია-თანაგუნდელი ფეტელი გახლავთ. შარშან, მოულოდნელი დებიუტისას, როცა აშშ-ის დიდ პრიზზე მოუხდა ერთი კვირით ადრე კანადაში რბოლისას ნაავარიები რობერტ კუბიცას შეცვლა, სენსაციურ შედეგს მიაღწია — მერვე ადგილი და პირველი საკარიერო ქულა მიითვალა. სებასტიან ფეტელი იმ დღეს ოდენ 19 წლის და 11 თვის იყო. მან ფინელ-გერმანელი ნიკო როსბერგის რეკორდი ცხრა თვით გააუმჯობესა.

ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთადერთ პილოტად, ვინც თავისი სადებიუტო რბოლის მოგება შეძლო, დღემდე რჩება იტალიელი ჯანკარლო ბაგეტი. ეს უნიკალური მიღწევა 27 წლის მილანელმა „ფერარით“ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ (1961) დაამყარა „საფრანგეთის გრან პრიზე“. ბაგეტიმ რეიმსში ისეთ მეგავარსკვლავებს ავჯობა, როგორებიც იყვნენ ჯიმ კლარკი, ფილ ჰილი, ვოლფგანგ ფონ ტრიპსი.

ნელსინიო ნელსონის ფვილი

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი ნელსონ სოტომაიორ პიკე და მისი ვაჟი ნელსინიო მეორე მამაშვილური წყვილია, „სამეფო რბოლებში“ რომ გამოსულა.

ლეგენდარულმა მამამ შვილისთვის სამძღოლო გზის გაკაფვაში გადამწყვეტი თუ არა, დიდი როლი ნამდვილად შეასრულა: „მამა ჩემთვის იყო და მუდამ იქნება მთავარი ორიენტირი, ხოლო კარიერის დასაწყისში მის მხარდაჭერას განუზომლად სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდა. თუმც ისიცაა, რომ მამის სახელის გამო გაძლიერებულ ზეწოლას და პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, მაგრამ ფორმულა 1-ში მოსახვედრად აუცილებელია ცოტა უფრო მეტი რამ, ვიდრე ცნობილი გვარი. „დიდ“ ფორმულაში მოსვლამდე, ფორმულა 3-ისა და GP 2-ის ჩემპიონატებში არაერთი გამარჯვებით დავამტკიცე, რომ თავადაც რაღაცის უნარი შემწევს“.

უმცროს პიკეს ის „რაღაც“ — ნიჭიერება — ნამდვილად აღმოაჩნდა. აბა, „რენოს“ საჭეს 22 წლის ბიჭს მხოლოდ ხმაურიანი გვარსახელის გამო ხომ არ ანდობდნენ.

არადა, ორიოდე წლის წინ სწორედ „მომავლის ფორმულის“, GP 2 სერიაში ჯირითისას მასზე რას არ გაიგონებდით, ქედმაღალი, გაფუჭებული, ბედის ნებიერა, ჩლუნგი ბიჭიაო: „არ ვიცი, ზოგიერთს რატომ ვძულვარ, იქნებ მამაჩემის გამო? ისიც ბევრს არ უყვარდა“ — ამბობს ნელსინიო.

თანდათან ვითარებაც შეიცვალა და ნელსინიოც. ახლა იგი ჩამოყალიბებული მრბოლი და ჩამოყალიბებული პიროვნებაა. სამწუხაროდ, ავსტრალიაში მისი დებიუტი უხეირო გამოდგა. ბოლოსწინა, 21-ე პოზიციიდან სპრინტერული სტარტის შემდეგ რამდენიმე მეტოქის გასწრება კი მოახერხა, მაგრამ პირველივე მოსახვევში ჯანკარლო ფიზიკელასა და ტიმო გლოკის ბოლიდებთან შეხლა-შემოხლის შედეგად „რენო“ ისე დაუზიანდა, რომ ნელნელა სისწრაფე დაკარგა და ნახევარი დისტანციის მერე უსიცოცხლოდ გაჩერდა ტრასის პირას.

ნელსონ პიკე-უმცროსის საწყისი ეტაპი ხელმოცარული კი აღმოჩნდა, მაგრამ იმედია, ეს შემთხვევითი ამბავია და უახლოეს რბოლებში ვითარება მისთვის სასიკეთოდ შეიცვლება. მერე კი, როგორც იტყვიან, გვარი ავალდებულებს, ღირსეულად გაგრძელოს ზესახელიანი მამისა და სხვა თანამემამულე პილოტების წარმატებული გზა. „სამეფო რბოლებში“ მონაწილე 30 ბრაზილიელთაგან ექვსმა შეძლო საფორმულო დიდი პრიზის მოგება, სამმა კი ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა.

გია ახალაძე





2008 წლის დებიუტანტები: სებასტიენ ბურდე და ნელსინიო პიკე

ბრავო, ბურდე!

მელბურნში, „ალბერტ პარკის“ ტრასაზე შესანიშნავად იჯირითა „ბებერმა“ ბურდემ. 29 წლის ასაკში საფორმულო კარიერის დაწყება საკმაოდ ნაგვიანევია. ბოლო 14 წელიწადში ეს პირველი შემთხვევაა. ასეთ მოწიფულ ასაკში მრბოლთა უმეტესობას უკვე 6-7 სეზონი აქვს მოლეული და არაერთი დიდი პრიზიც მოგებული, ხოლო თორმეტმა სუპერპილოტმა სულაც გაჩემპიონებაც მოასწრო, ზოგმა — ორჯერაც კი.

თუმც აღსანიშნავია, რომ ლემანელ მრბოლს წლები უქმად არ გაუფლანგავს, ფორმულა 3-ის და ფორმულა 3000-ის ევროტურნირებში გამარჯვების შემდეგ ხუთი სეზონი ჩრდილოამერიკულ „ჩემპკარის“ სერიაში იქროლა და შესანიშნავ წარმატებასაც მიაღწია — 73 რბოლიდან 31 მოიგო და ზედიზედ ოთხჯერ ამ ოკეანისგაღმური „ფორმულის“ ჩემპიონობა მოიპოვა. ერთი სიტყვით, ბურდე ბებერ კონტინენტზე მშვენიერი „სავიზიტო ბარათით“ დაბრუნდა.

მაგრამ ისიცაა სათქმელი, რომ სები ბოლო დროს ფორმულა 1-ში მიწვევას აღარც ელოდა: „2002 წელს მოლაპარაკებას ვაწარმოებდი „ეროუსთან“, მაგრამ არაფერი გამოვიდა და მეგონა, ყველაფერი დამთავრდა — ფორმულაში თაობათა ცვლა მიდიოდა, ჩემპიონატში ახალგაზრდა მრბოლები გამოჩნდნენ. 2006 წელს იმედი საბოლოოდ გადამეწურა. მეგონა, რომ არანაირი შანსი აღარ მქონდა და ეს ერთ-ერთ ინტერვიუშიც ვთქვი. მაგრამ სწორედ ამის შემდეგ გამიმართლა, ერთ კვირაში „ტორო როსოს“ ტესტებზე მიმიწვიეს და აი, დღეს უკვე საპრიზო პილოტი ვარ. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი ჯერჯერობით მაღალი ძიზნებისთვის საბრძოლველ დონეზე ვერაა, ამიტომ რბოლებში ნებისმიერი ქულა ლამის გამარჯვების ტოლფასი იქნება“.

ცნობისთვის, „სკუდერია ტორო როსოს“ მრბოლებმა წინა ორ ჩემპიონატში მხოლოდ სამჯერ შეძლეს ჩასათვლელ რვიანში მოხვედრა და ჯამში მათხოვრულ რვა ქულას მოუყარეს თავი.

ავსტრალიური უიქენდი ფრანგისთვის უხეიროდ კი დაიწყო — კვალიფიკაციაში 22 მონაწილეს შორის მხოლოდ მე-18 დრო აჩვენა, მაგრამ რბოლაში ისე იყოჩაღა, რომ საბოლოოდ მეშვიდე ადგილი და საამისო ორი ქულა ერგო.

კარიერის ამგვარი სტარტით თავად სებასტიენიც კმაყოფილია და გუნდის ხელმძღვანელობაც. „ტორო როსოს“ მენეჯერი, ყოფილი ექსტრაპილოტი გერჰარდ ბერგერი:

„ბურდემ ყველას დაუმტკიცა, რომ მასთან კონტრაქტის გაფორმებით ჩვენ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. სებასტიენს კვალიფიკაციაში ოდნავ არ გაუმართლა, მაგრამ რბოლა ფანტასტიკურად ჩაატარა — ტრასაზე სიტუაციას სწორად კითხულობდა, გაცვეთილი საბურავებიც საქმის ცოდნით იცავდა თავს და საერთოდ, არ შემცდარა. მელბურნში იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო, ნაღდი მეოთხე ადგილი დავკარგეთ. ყველაფერს ვიღონებთ, რათა მომდევნო უიქენდზე წარმატებას მივაღწიოთ, თუმც უნდა ვაღიარო, რომ სეზონის განმავლობაში მეოთხე ადგილისთვის ბროლას ხშირად ვერ შევძლებთ. ამიტომ გუნდი ვალდებულია, ყოველი ასეთი შანსი გამოიყენოს“.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ფერსია
http://www.sarbieli.com.ge